


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 26 ივნისი 16 1896 წ. № 26

შინაარსი: განცხადება.—მართებლობის განკარგულება.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა-სოფლების აღწერა.—სრულიათ რუსეთის გამოფენა ნიჟნი ნოვ-გოროდში.—ზეპირ გადმოცემანი მესამე ამბავი, ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ.—მარჯორი ვარდროპის ქალის ლექსი კნ. ნ-ნო ორბელიანისა.—გველების მომთვინიერებელი გ. წ—ისა.—ორიოდე სიტყვა ყვავილის აცრის შესახებ ი. თ—ისა.—*** ლექსი დუტუ მეგრელისა.—ნუშო (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—კრიტიკა (შემდეგი) ფ. მახარაძისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—„კვალის“ ფოსტა.—განცხადებები.—

მათი უავგუსტოესი იმპერატორებითი უმაღლესობათა **დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა** და **დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის** მფარველობათა ქვეშე მყოფი ქუთაისის გუბერნიის ცენტრალური კომიტეტი წყალ დიდობისაგან და დიდ თოვლობისაგან დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ, ამით აცხადებს, რომ ფული და ნივთები დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება კომიტეტის თავმჯდომარის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის. თ. ს. გ. წერეთლის სახელობაზე.

(3—2)

## მართებლობის განკარგულება.

კავკასიის მთავარმართებლის ბრძანება თავის გამგეობისადმი.

გენერალ-ადიუტანტმა ობრუჩევმა მაისის 30-ს ტელეგრამ-ით, № 1273, მაუწყა მე, რომ უმაღლესი ბრძანებით მე დათხოვნილი ვარ საზღვარ გარეთ ორი თვის ვადით და, ვინიცობაა, ჩემი თანაშემწეც არ დაესწრო, უმაღლესათ ნაბრძანებია დროებითი მართველობა მხარეში და ჯარების უფროსი სარდლობა გადაეცეს კავკასიის კორპუსის სარდალს, კავალერიის ღენერალს, თავად ამილახვარს. მიედრიკარ რა უმაღლესათ ნება დართული საზღვარ გარეთ, წინადადებას ვაძლევ თანაშემწესა ჩემსა, ინფანტერიის ღენერალს გრაფ ტატიშჩევს ჩემი ადგილი თანამდებობაში დაიჭიროს. ვაუწყებ ამ განკარგულებას კავკასიის სამართველო დაწესებულებათა და სახელმწიფო მოხელეთა.

ხელმოწერილია: მთავარმართებელი კავკასიისა ღენერალ-ადიუტანტი შერემეტევი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ხირსის მონასტრის გამგე არხიმანდრიტი ლეონიდი, როგორც „ნოვოე ობოზრენიას“ შეუტყვია, გადაყვანილ იქმნა ქუთაისს; ხოლო იქ დროებით დანიშნული ეპისკოპოსი ალავერდისა,

ყოვლად-სამღვდელო ბესარიონი, უნდა დაბრუნდეს თფილისს.

⁂

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ თავად-აზნაურთა ბანკის საგანგებო კრება არის დანიშნული ოთხშაბათს, 19 თიბათვეს.

⁂

თერთმეტ ივნისს მოხდა მესამე სხდომა ქალაქის საბჭოს კომისიისა წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ. სხდომა დანიშნულ იყო მხოლოთ ახალ შემოსულ თხოვნათა განსახილავათ. შემდეგ სხდომაზე განიხილვენ დანარჩენ თხოვნებსაც. მაშინ კომისიას შეეძლება გამოიკვლიოს, თუ ვინ უფრო საჭიროებს დაუყოვნებლივ დახმარებას. როგორც თხოვნებიდან ჩანს ზარალი რამდენიმე ათი ათას მანეთს აღემატება და აქ, აბა რას გახდება ქალაქის მიერ გადადებული ამ მიზნისთვის 1500 მანეთი. საჭიროა უფრო ფართო დახმარება მთელი ქალაქის მცხოვრებთა მიერ.

⁂

ამ ჟამათ თბილისში გვეწვია ქალბატონი მარჯორი ვორდროპი თავისი ოჯახით: მამით, დედით და ძმით. მას სხვა-და-სხვა ქართული წყაროებიდან შეუდგენია წმიდა ნინოს ცხოვრება ინგლისურ ენაზე და მზათ აქვს დასასტამბათ. ამას გარდა უკვე შავათ გადუთარგმნია ინგლისურ ენაზე „ვეფხის-ტყაოსანი“ და სურს ქართულის ზედმიწევნით მცოდნე კაცებთან ერთათ განმარტოს ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილების აზრი და შემდეგ მოამზადოს ინგლისურ ენაზე გამოსაცემათ. ამ ცოტა ხანში მარჯორი ვორდროპი თავის დედ-მამით და ძმით გაემგზავრებიან ერევნისკენ სომხეთის ძველი ნაშთების განსახილველათ, განსაკუთრებით მას უნდა შეისწავლოს ძველი ანისის ტაძრის ნანგრევები.

⁂

განათლების მინისტრმა ქ. ბაქოში ნება დართო სავაჟო გიმნაზიის გახსნაზე. ამ გიმნაზიის წლიურ შესანახავ ხარჯს, 19 ათას მანეთს, ქალაქის თვით მართველობა კისრულობს.

⁂

გორის სამოსწავლო სემინარიაში წელს სწავლა დაუმთავრებიათ და მასწავლებლობის ხარისხი მიუღიათ ჩვიდმეტ ყმაწვილს (მეთვრამეტე გამოშვებაა); იმათში ექვსი ქართველია: ბურჯანაძე, ხატიკაცი, შატბერაშვილი, ლოლობერიძე, თვილიდიანი და ხაბურძანია.

⁂

წელს ქუთაისის სავაჟო გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს ოც-და-თორმეტმა ყმაწვილმა; მათ შორის ცხრამეტი ქართველია: აბულაძე ი., ვაშაკიძე დ., გერარდი ვლ., ღლონტი სარ., გოკიელაშვილი სტ., ჯაფარიძე ივ., ჯაფარიძე კონს., ჯაფარიძე სპ., დიდია მ., კობახიძე აპ., კორძაია ვლ., კერესელიძე დ., მგელაძე დ., მდივანი ალ., მდივანი სიმ., მიქელაძე სიმ., თურქია ვლ., ჭოლოშვილი ვლ., ჭეიშვილი ვას.; ხუთი რუსია, ერთი სომეხი, სამი ებრაელი, ერთი ჩეხი, და ორიც გერმანელი.

⁂

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისაგან: სახალხო სეირნობიდან ლატარია-ალეგრითურთ, რომელიც გამართული იყო 2 თიბათვეს ამ წლისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ, შემოვიდა: ბაღში შესავლელი და სალატარიო ბილეთების გაყიდვიდან 2264 მ. 30 კ., ქეტონების გაყიდვიდან 50 მ., ბუფეტიდან 40 მ. 20 კ. და ფულათ შემოწირული 160 მ., სულ 2514 მ. 50 კ. დაიხარჯა: ნივთების შეძენაზე 431 მ. 50 კ., მარკებზე 100 მ., ქეტონების გაკეთებინებაზე 50 მ., ბუფეტზე 36 მ. და სეირნობის გამართვა-მოწყობაზე 570 მ. 60 კ., სულ 1188 მ. 10 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 1326 მ. 40 კ.

საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობათ თვლის გამოუცხადოს ულრმესი მადლობა კნეინა მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისას, ე. ი. სარაჯიშვილისას, კ. ვ. ოქრომჭედლიშვილისას, თავადს ნ. ზ. ჭავჭავაძეს, თ. კ. ი. მუხრანბატონს, თ. ე. დ. ქობულაშვილს, ნ. ბ. ლოლობერიძეს, ბ. ვ. ლოსაბერიძეს, ასტვაწატუროვს, კორონას, მიასნიკოვს, მილოვს, ღუმუროვს, ჩარახჩიანოვს, ლოტს, თეთრაძეს, კაცს, კურდღელიშვილს, კოროტკოვს, კახეთის, ალაზნის და მელაანის ფირმებს, ქუთაისის, ახალციხის და ზესტაფონის საზოგადოებას და სხვათა ფულისა და ნივთების შემოწირვისათვის და აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს და დახმარება აღმოუჩინეს სახალხო სეირნობისა და ლატარია-ალეგრის გამართვას.

⁂

რედაქციამ მიიღო შემდეგი გამოცემანი:

1) მთიულეთი 1804 წელს, ალ. ფრონელისა, თფ. 1896 წ., გვ. 359, ფასი თოთხმეტი შაური. წმინდა შემოსავალი ამ წიგნისა გადადებულია „წერა-კითხვის“ საზოგადოების სასარგებლოთ.

2) ჩვენი დროის ეროვნება კარლ კაუცკისა, თარგ. დ. კალანდარიშვილისა, ახალ სენაკი, 1896 წ. გვ. 70, ფასი ორი შაური. გამოც. ძმათა თავართქილაძეთა № 61.

3) ანუკა ბატონიშვილი, ისტორ. მოთხრობა გრიგოლ რჩეულიშვილისა, ახალ-სენაკი, 1896 წ. გვ. 94, ფასი 10 კაპ.; გამოცემა ძმათა თავართქილაძეთა № 59.

4) გემის დაღუპვა, პოემა სილოვანისა, ქუთაისი, გვ. 29, ფასი 10 კაპ.

ბ. ალ. ფრონელის ფრიად საინტერესო წიგნის „მთიულეთის“ განხილვას ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვნით.

---

## დაბა-სოფლების აღწერა.

### საყურადღებო ამბები

ქართლიდან: რაც დაგვაკლო წარსულის წლის წყალ-დიდობამ, ამ ზამთარს დიდმა თოვლმა და ქარ-ბუქმა, ის შეგვისრულა 26-ს მაისს მოსულმა თქეშმა. აღარ დარჩა თითქმის ადგილი გორის მაზრაში რომ ზარალი არ მიეცეს ნიაღვრებს. წალეკა ზოგან მთელი მინდვრები, ვენახები, ბაღები, ქალები, სახლები და ზოგან ხომ ხალხიც იმსხვერპლა. სხვათა შორის დავასახელებ რამდენსამე სოფელს, რომელთ ზარალი უფრო საგრძნობელია: დ. მეჯვრის-ხევი, ს. ერედვი, დვანი, სადაც ნიაღვარმა რამდენიმე კაციც იმსხვერპლა, სხვათა შორის დაახრჩო ერთი დუხაბორიც და სხვა. ერთი სიტყვით 26-ს მაისს მოსულმა ავდარმა თავზარი დასცა ყოველგან, წაახდინა სადაც კი ხიდები ან ბოგირები და გზები იყო. იქ, სადაც თავის დღეში თვალით არავის უნახავს ცვარი წყალი, დღეს დიდი რუებია გაკეთებული; წ აროები უგზო-უკვლოთ დახეტიალებენ და აფუჭებენ: გზებს, ხნულებს, ნახნავ-ნათესს. ყოველ ზემო ჩამოთვლილ ამბავს თუ იმასაც მიუმატებთ, რომ უგზო-უკლოობისა გამო ჟურნალ-გაზეთები გვიან მოგვდის, არა გვეყურება-რა სხვა ადგილებიდან, მაშინ ადვილათ მიხვდებით, თუ რა ყოფაშიაცა ვართ პროვინციელები.

ჭურიში—ძე.

***

ქვემო რაჭა. რას გვიპირებს ეს დალოცვილი ბუნება, ველარ გამოვიცანით. როგორც იქნა დღემდის მარტო იმედით მოვაღწიეთ, დღეიდან კი ამ იმედის ნაცვლათ სასოწარკვეთილებას უნდა მივეცეთ. მართლაც 1894 წლიდან დაწყებული ვიდრე დღემდე ძლიერ დასჯილი ვართ, თუ მოუსავლობით, თუ წყალდიდობით და ნიაღვრებით, თუ სასტიკი და გაუთავებელი ზამთრით და შემდეგ დაუწყნარებელი წვიმებით. შემოდგომაზე პურით დათესილი ყანები დაცალიერებულა, თესლი ამოლპა და ყანები ხელ-ახლა დათესეს; ხვნა-თესვა როგორც იქნა ამ მაისის დამლევს გათავდა, ესეც დიდი ზამთრის და შემდეგ უამინდობის გამო. აპრილში ნათესი ჯერაც არ ამოსულა და ამოსულსაც საიმედო პირი არ უჩანს, ისე გაყვითლებული, გაწვრილებული და ბალახ მორეულია. აქ ახლაც ძლიერ ცივა; ეს არის მიზეზი, რომ თესლი ნაყოფს დროზე არ იღებს; ვენახიც შეშინებულია სიცივით. აგერ გათავდა გაზაფხული და დღემდის არ ყოფილა ერთი დღეც, რომ უწვიმოთ და საამურათ დაღამებულიყოს; დღეში ბევრ ნაირათ იცვლება ჰაერი; მზე თუ ამოვიდა, რამდენსამე საათს შემდეგ წვიმს, ბოლოს სეტყვა და ქარიშხალია. 24 მაისს სეტყვამ და ნიაღვრებმა ძლიერ დააზარალა ხონჭიორი, ქედისუბანი, ჯვარისა და საკეცია, 28 მაისს სადმელი, კრიხი და კვირიკე-წმინდა; ამ სოფლებში ნიაღვრებმა და სეტყვამ ყველაფერი მოსპო, ცალიერი-გადარეცხილი ადგილების ამარა დატოვა მცხოვრებლები; ოთხფეხი შინაური საქონელი და წისქვილები ბევრი წაიღო წყალმა. გზები ძლიერ გაფუჭებულია, სოფლიდან სოფლამდე მიმოსვლა შეუძლებელია; ხალხი მუდამ დღე აკეთებს გზებს, მაგრამ ბუნებას ვერ აჯობებს, ამ საათში გაკეთებულს მეორე საათში აქცევს და ახდენს ნიაღვრები და მოდიდებული წყლები; მუშა აქაც ტყუილა ცდება. მთის სოფლები კიდევ უფრო საცოდაობას წარმოადგენს, ვინემ ბარისა; ამ სოფლების მახლობელ მთებზე, სადაც ყანები და სათიბები აქვთ, ჯერ კიდევ დიდი თოვლია; თავის დროზე არც თივა, არც მოსალოდნელი სათიბა იქნება და დღესაც საქონელი საკმარის ბალახსაც მოკლებულია. მათში ნიკორწმინდა უფრო შესაბრალისია; ერთათ ერთი მისი იმედი და საქებარი შაორი წყალში ლივლივებს; ზღვასა ჰგავს სწორეთ; სოფლამდე მოუწევს სადაც არის; მრავალი ყანები დაფარულია; გზატკეცილიც გადაელილია; ხარისთვალას იქით ბორანი მუშაობს და მით გადის ხალხი ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირს. თორმეტამდე სო-

ფელი ჰკვებავს მისი წყალობით საქონელს, წელს კი არ არის ამ მხრით იმედი შორისა. ყოველივე ამას რომ დავუმატოთ ფულის სიძვირე (ჩვენი მუშა ზამთარშივე დაბრუნდა შინ ცალიერ-ტარიელი) და სხვა მხრიდან მოსული არა საიმედო ამბები მოსავლის შესახებ, ადვილი წარმოსადგენი იქნება ჩვენი მდგომარეობა.

მეთვალყურე.

* * *

დაბა დილიჯანი (განჯის გუბ.). აპრილის პირველ რიცხვებიდან დაწყებული მაისის გასვლამდე თითქმის გადაუღებლათ წვიმს: წყლები გადიდდენ, ხიდები აღარ არის, ზოგან გზები გაფუჭებულია და ზოგან სახლებიც ჩამოაქცია ნიაღვარმა!..

მინდვრებში ბალახი თუმცა უხვათ მოვიდა, მაგრამ სამაგიეროთ ქინახული გაფუჭდა დაუწყნარებელი ავდრების გამო. ყველა ამაებს დაუმატეთ კაკლის ოდენა სეტყვა, რომელიც პირველ თიბათვეს მოვიდა (5 წამზე მეტი გასტანა) და რომელმაც თუ სადმე ხეხილი მოიპოვებოდა გაანადგურა! ხეების ტოტები დაამტვრია და სახლების ფანჯრებს შუშები ჩაულეწა!..

ტრ. ი—ძე.

* * *

ს. ქაქუთი (ლიხაურის საზოგადოება). გაზ. „კვალის“ № 22-ში დაბეჭდილი იყო რამდენიმე ცნობა შესახებ რწმუნებულ ჩემდამო ქაქუთის სამრევლო სკოლის არსებობისა ბ. ვინმე გურულის მიერ. რადგანაც მოულოდნელათ ამ შკოლის ბედი სულ სხვანაირათ დატრიალდა, ჩვენდა საუბედუროთ, ამიტომ საჭიროთ ვთვლი ვაცნობო მკითხველს, თუ რაშია გარემოება. აქამდის ის გვქონდა სამწუხაროთ, რომ მრავალ ნაკლულევანებათა გამო ეს შკოლა საკმარისათ ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას და აბა ამას ვინ მოიფიქრებდა, თუ რაც გვქონდა ზოგიერთი პირების შეწევნით მოპოვებული—გვირგვინათ ჩემი ექვსი წლის უსასყიდლო შრომისა, იმასაც კი დავკარგავდით? წასულ მაისის სამს, ღამით—არ ვიცი, განზრახ, თუ გაუფრთხილებლობის გამო [1]), ვიღაცამ გაუჩინა ცეცხლი ამ სკოლის შენობას და ყოველივე მისი მოწყობილებით ერთიანათ გადაბუგა. ცეცხლის გაჩენა ადრე არავის გაუგია, რადგან შიგ არავინ ღამეს არ ათევდა და ახლო-მახლო მეზობლები მუშაობისაგან დაღლილნი ღრმა ძილს მიცემოდენ. ცეცხლის გაჩენა ისე გვიან გაიგეს, რომ მისი გაქრობა შეუძლებელი იყო. როცა გავიგე ეს სამწუხარო ამბავი, დაუყოვნებლივ გავექანე სკოლისაკენ, სადაც თვალ წინ წარმომიდგა გულის შემზარავი სურათი: მთელი სკოლის შენობა თავისი სამოსწავლო ნივთებით ფერფლათ ქცეულიყო; შეგროვილიყო თითქმის მთელი სოფელი. ყველას ღრმა მწუხარება ეტყობოდა.—გული ამიჩუყდა, კინაღამ ტირილი მოვრთე, მაგრამ ბოლოს გული იმით შევიმაგრე, რომ ამ საქმეში ამდენი თანამგრძნობი ჯერ არ მინახავს, რამაც გამოუთქმელათ მანუგეშა.—დედაბრები, მეტს რომ ვერას გამხდარიყვნენ, კანკალით წყევლიდენ ბოროტების ჩამდენს: „ღმერთო, შენ დაწვი და დადაგე მისი სოულობაო“. მაჰმადიანები გაბრაზებული იმუქრებოდენ: „შევიტყობდეთ ამის მქნელს, ორ ყურშუმიან თოფს ვკრავო“. სხვები ცეცხლზე თბებოდენ და ყალიონსაც ეწეოდენ. ბოლოს ჩვეულებისამებრ შეიკრიბნენ პატარა მოსწავლეები, რომლებიც ამ სანახაობაზე ერთიანათ გაფითრდენ—ზოგიერთებმა გულ-ამოსკვნით მორთეს ტირილი, ზოგი ჩუმათ ქვითინებდა; სულ პატარები კი დაფერფლილ რვეულებს და დატეხილ დაფა-გრიფილებს ათვალიერებდენ: „ნეტა ჩვენი რომელიაო“, კითხულობდენ. ამის დანახვაზე ყველას გული აერია და ერთ ხმათ განაახლეს წყევლა-მუქარა: „ღმერთო, შენ ჰკითხე ჩვენი საცოდავი ბალღების ცოდვა, ვისგანაც ეს დაიწვაო“. 5-ს მაისს ადგილობრივ ბოქაულმა გამოიძია ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ცეცხლი სკოლის შენობას გარედან წაკიდებია. დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ. ზარალი 400 მანეთამდეა. 13-ს მაისს მე მივმართე ლიხაურის საზოგადოებას თხოვნით, რომ დამწვარ სკოლის განახლებისათვის შემწეობა აღმოეჩინათ. აი, შემომწირველთა სია: ბ. ისაია გოგოლიშვილმა ორი მანეთი, თითო მანეთი შემოწირეს: აზ. პატ. თაყაიშვილის ასულმა, მაკა თაყაიშვილის ასულმა, პოდპორ. ერ. თაყაიშვილმა; ქ ბ. ფეოდ. კვაჭაძისამ. ბ.ბ. სოლ. ჭეიშვილმა, ილ. ცეცხლაძემ და პ. ნ. ურუშაძემ; ვახ. თოიძემ 60 კ., ალ. კვაჭაძემ 50 კაპ., ათარ. თოიძემ 50 კ., მ. სორიძემ 50 კ., ირ. სალუქვაძემ 50 კ, ნიტ. კახიანმა 50 კ., შერმან სალუქვაძემ 50 კ., ბექია ვასაძემ 50 კ.. სიო თოფურიამ 50 კ., აბ. ურუშაძემ 40 კ.; მ. ჭელიძემ 40 კ., მ. კალანდარიშვილმა 40 კ., პავ. გობრონიძემ 40 კ., კაკ. გორდელაძემ 40 კ., ან. სალუქვაძემ 40., ფარ. გორდელაძემ 40 კ., ლ. ურუშაძემ 40 კ, ი. თოიძემ 50 კ., დ. ცეცხლაძემ 30 კ., ი. გოგოლიშვილმა 20 კ., ა. სალუქვაძემ 20 კ.,

[1]) რადგან სკოლის შენობა სასოფლო გზის პირას იყო აგებული, ამიტომ შეეძლო უცხო მგზავრსაც შეფარება მის დერეფანში და გაუფრთხილებლობით ამ საქმის ჩადენა (?).

რ. სალუქვაძემ 40 კ., გ. ლომჯარიამ 20 და სამ. თოიძემ 20 კ. სულ შემოვიდა ცხრამეტი მანეთი და ექსი შაური. 2 ივნისს გაიმართა წარმოდგენა ბბ. გ. და ივ. მგელაძეთა თაოსნობით, ამავე სკოლის სასარგებლოთ, რომლიდან ხარჯს გარდა სკოლას დარჩა თერთმეტი მანეთი. ამასთანავე მიემართავ თხოვნით ყველა პატივცემულ პირებთ, რომლებიც ისურვებენ რაიმე შემწეობის აღმოჩენას განსაახლებელად ზემოხსენებული სკოლის შენობისა. შემოწირულება გაიგზავნება შემდეგი ადრესით: Въ гор. Озургеты. Члену попечительства востан. Какутской церк.-прих. школы, купцу Дом. Шев. Шавишвили.

მ.სწავლებელი რაჟდენ კონტრაძე

***

ს. მიქელ-გაბრიელი (გურია). აგერ ორი წელიწადია, რაც მიქელ-გაბრიელის საზოგადოებას სურს ორკლასიანი სასწავლებლისთვის ახალი შენობის აგება. ძველი სკოლის შენობა აგებულია იმ დროს, როცა აქ პირველ დაწყებითი სასწავლებელი იყო და ამ ჟამათ, როცა სწავლის მსურველთა რიცხვი ერთიორამათ მეტია, შენობა სრულებით უვარგისია; მეორე კლასის მოსწავლეები იძულებული გამხდარან ხან ერთი ვაჭრის სახლს შეაფარონ თავი, და ხან მეორისას. ამ გვარ პირობებში სწავლა, მგონია, ნაყოფს ვერ მოიტანს; ამას თვით მცხოვრებნიც ხედავენ და სურდათ ახალი შენობის აგება; მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ „ნდომას“ ბოლო აღარ მიეცა. საუბედუროთ, აქ თავი იჩინა რაღაც „პარტიობამ“. არ იქნა და ვერ შეთანხმებულან, სად უნდა იქნას ახალი შენობისთვის არჩეული ადგილი. ნუ თუ შეუძლებელია გადაწყვეტა, ძველი ადგილი ჯობია, თუ ახვა! ეს ძნელი არ არის, მაგრამ, რას იზამ, როცა საზოგადო საქმე ვინმეს პირად ინტერეს შეეჯახება? ამ საქმეში არა მცირედი ბრალი მიუძღვით სოფლის რჩეულ პირთაც.

აქ უნებლიეთ მაგონდება ამავე სოფელში მომხდარი წინანდელი სამი წლის ამბავი. ეს არის ეკკლესიის აშენების თაობაზე მომხდარი „პარტიობა“, რომელსაც ერთმა „ძლიერმა ამა სოფლისამ“ გადალახა ხალხის თხოვნა, ანაცვალა ის პირადს ინტერესს და სოფლის ორი მესამედი პირში ჩალა-ამოვლებული დატოვა; ამას მოყვა ეკკლესიის შენობის დაწვა, და დამნაშავეთა სასტიკი სასჯელი. ამას ზედ დაერთო სოფლის აკლება: თითოეულ კომლს იმ წლის განწერილობაში გადახდა 60—80 მანეთამდე. ყველა ეს მოხდა „პარტიის“ ბელადის პირადი ინტერესების გამო. ამ საქმეში დამნაშავე ვაჟ ბატონი-კი დღესაც სინიდის დამშვიდებული დაპარპაშობს.

ამ გვარივე „პარტიობა“ აფერხებს ახლა სკოლის საქმეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ერთი სკოლა ერთს ალაგას უნდა აშენდეს და არა თითოეული მოსახლის ეზოში. მიიღეთ მხედველობაში, რომ ამ ჟამათ მთავრობა, თუ არ ვცდები, 800 მანათით გვეწევა, თუ დანარჩენს ჩვენ ვიკისრებთ; ერთი სიტყვით აუცილებლათ საჭიროა, რომ მომავალ სექტემბრისთვის სკოლის შენობა მზათ გვქონდეს, თორემ საქმის წახდენის შემდეგ თითებზე კბენა, ველარაფერი ნუგეში იქნება.

ამ ცოტა ხანში ეს მესამე მამასახლისი გვყავს; ამას უნდა მივაწეროთ ის, რომ ვერ ველირსეთ სასოფლო სამმართველოს (კანცელარიის) საქმის გადაწყვეტას.

მუშა.

## სრულიად—რუსეთის გამოფენა ნიჟნი-ნოვგოროდში.

ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში 29 მაისს ფინანსთა მინისტრმა, ბ. ვიტტემ გახსნა სრულიად რუსეთის გამოფენა. ეს არის მეორე გამოფენა მთელ რუსეთში, პირველი მისი მსგავსი მოხდა 14 წლის წინეთ ქ. მოსკოვში. აწინდელი გამოფენის მზადებას შეუდგენ 1893 წელს. როგორც გაზეთებში იწერებოდენ, ეს გამოფენა გახსნის დროზე სისრულეში კიდევ არ იყო მოყვანილი: მრავალი შენობები ექსპონატებისათვის, ქუჩები და სხვ. მოუწყობელი იყო, და თვით ექსპონატები ისევ დაუწყობელი იყო, ზოგიც სულ არ იყო ჯერ მოტანილი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში გამოფენის გახსნისათანავე მას დიდი წარმატება ეტყობოდა. ამ გამოფენის ფასი 28 მილიონს აღემატება. ის შედგება 20 განყოფილებიდან; თითოეული განყოფილება კიდევ დაიყოფება კლასებათ, ჯგუფებათ და სხვ. გამოფენის მიზანია, გააცნოს საზოგადოებას სრულიად რუსეთის მრეწველობის და ალებმიცემობის საქმე, მისი ტეხნიკური წარმატება და სხვ. ამას გარდა გამოფენის დროს მოხდება სამრეწველო და საალებმიცემო კრება, რომლის ერთ განყოფილებაზე წიგნის სტამბეის და გამოცემის საქმე იქნება განხილული. გამოფენა გაატანს სამ თვეს; ამიტომ ჯერ კიდევ ადრეა ნაყოფიერ შედეგებზე ლაპარაკი.—რასაკვირველია, გამოფენა ყოველთვის აურაცხელ ხალხს მი-

იზიდავს, ამიტომ ერთ უმთავრეს საკითხს შეადგენს ამ ხალხის გამოფენის დროს დაბინავების და გამოკვების საქმე. ცხადია, რომ ამ დროს ყველაზე უფრო თავისუფლათ შესაძლებელია მოსული ხალხის გაყვლეფა, ამის წინაშე აქ ყველა ულონოა. არც ერთი გამოფენა ამ მხრით, არც უცხოეთში და არც ჩვენში, კეთილ მოწყობილათ არ ჩაითვლება. ასევე ითქმის აწინდელ გამოფენაზეც. ამ გარემოებას კარგათ ხედავდა ნიჟნი-ნოვგოროდში არსებული მასწავლებელთა დამხმარებელი საზოგადოება და ამიტომაც შეუდგა გამოფენაზე მოსულ სოფლის მასწავლებელთათვის იაფათ მოთავსების და დაბინავების საქმეს. ამისათვის ვისაც სურდა იქ წასვლა, საჭირო იყო წინდაწინ განცხადება. ჯერ კიდევ ვინემ გამოფენა გაიხსნებოდა ამნაირი განცხადება 6100 მეტი შევიდა ხსენებულ საზოგადოებაში; საზოგადოებას კი მხოლოთ 5500 კაცისთვის შეეძლო იაფი ბინის შოვნა. ამ ჟამათ გამოქვეყნებულია ფინანსთა მინისტრის განკარგულება, რომლის ძალით ყველა სასწავლებელთა მოსწავლეებს უფასოთ წასვლის ნება ეძლევათ გამოფენაზე. უფასოთ წასვლის ნება ეძლევათ აგრეთვე ხსენებულ გამოფენაზე რუსეთის ყველა ფაბრიკების და ქარხნების მუშებს.

## ზეპირ გადმოცემანი,

ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ.

გარსია ლონლაძის ნაამბობი რუსის ჯარის პირველ შემოსვლაზე იმერეთის დასაპყრობათ.

### მესამე ამბავი. *)

ამ დროს მეფის სარდლათ ითვლებოდა ქაიხოსრო წერეთელი. იმასა და ზურაბ წერეთელ შუა პირდაპირი მტრობა იყო ატეხილი, რადგან ერთი იყო სოლომონ მეორის, იმერეთის მეფის, ერთგული ყმა, და მეორე კი მისი წინააღმდეგი, რომელიც იჯდა საჩხერეს და ჰქონდა მიწერ-მოწერა გამართული იმერეთის არეულ საქმეებზე მთავარმართებელთან, რომელიც ემზადებოდა ზურაბ წერეთლის რჩევით ჯარის შეყვანას იმერეთში ციხეების ასაღებათ და ამ ქვეყნის ხელში დასაჭერათ.

ქაიხოსრო წერეთელმა წინდაწინ იცოდა ეს ამბავი და, როგორც მეფის ერთგულმა ყმამ და იმერეთის სარდალმა, მოახდინა დროის შესაფერი განკარგულება. ის გამაგრდა ორასი ჯარის კაცით კორტოხზე. მას თან ახლდა ბრძოლაში გამოცდილი მარჯვე კაცები: გოგია გოდაბრელიძე, მამუკა აბაშიძე და დათა საყვარელიძე, რომელიც თავის კაცებთან გამაგრდა სათიჩხიაზე (სურამის მთების მაღლობებზე). ქაიხოსრო წერეთელს საყარაულოზე (ხეფინისხევის გადასავალზე) ჰყავდა დარაჯები დაყენებული, რომელთაც მეთაურობდა მხნე მეომარი გოგია გოდაბრელიძე. რუსის ჯარები მოადგნენ კორტოხს და საყარაულოს ერთ დროს! შეიქნა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგძელდა რამდენსამე დღეს. იმერლები თავგამოდებით იბრძოდნენ და დიდი ზარალიც მისცეს რუსის ჯარს, რომელსაც წინ უძღოდა ზურაბ წერეთელი და საიდუმლოთ გასავალი გზებით თავს უვლიდა ქაიხოსრო წერეთლის ჯარს, მაგრამ ყოველი მისი ცდა და ხერხიანობა ამაოთ დარჩა. ვერც აქ და ვერც საყარაულოზე რუსის ჯარები ვერ შემოუვიდნენ იმერლებს. ამ ბრძოლაში მამუკა აბაშიძე დაჭრეს ხმალ-და-ხმალ გადასევის დროს და ბასილიკუმა ლონლაძემ ზურგით გამოიტანა ის ბრძოლის ველიდან. აქ რომ ვერა გააწყვეს რა, მერე ზურაბის რჩევით უეცრათ თავს დაესხნენ სათიჩხიაზე. დათია საყვარელიძემ აქ გმირულათ ისახელა თავი და გამაგრდა სანამდის ქაიხოსრო წერეთელი არ მიეშველა. მას ჰყავდა მედროშეთ კაცია იაშვილი *), კაცი მხნე, ახოვანი და დიდ ტანოვანი. საცა ის გაჩნდებოდა თავზარ დამცემი ხმით, ყოველგან იმარჯვებდნენ. „კაცია იაშვილი მოდისო“ — რომ გაისმოდა ჯარში, დაღონებული და ძალიან დაღალულიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც ყველა ცოცხლდებოდა ბრძოლაში და გამხნევდებოდა. ქაიხოსრო წერეთელი კაცია იაშვილს გვერდით არ იცილებდა და ბრძოლაში ხშირათ მის დროშას უკან დაყვებოდა. კაცია იაშვილს ჯარის მტვირთველს და მედროშეს ეძახოდნენ! რუსის ზარბაზნებმა სათიჩხიაზედაც ვერა გააწყვეს რა

---

*) იხ. „კვალი“ № 25.

*) კაცია იაშვილს მეც მოვსწრებივარ. ის იყო ღრმა მოხუცებული, წელში მოხრილი და წინსაბჯენი ჯოხით დადიოდა. თუმცა ნახევრათ ძირს იყო დაღუნული, მაგრამ მუხტანის კაცი მაინც ბეჭებამდის ვერ წვდებოდა. მე ვიყავი იმ დროს თორმეტი წლის ბავში და კანჭზე რომ დავეზომებოდი, მისი მუხლის თავი მხარზე მწვდებოდა. ამ კაცს ჰქონდა თოვლის წამლით თვალის უბეები ამოშავებული, არწივის ნისკარტსავით მოხრილი ცხვირი და დიდრონი თვალები, დიდი ხმით იცოდა ლაპარაკი და ალარცარაფერი რწამდა ასლანდელი დროის.

გ. წერეთელი.

იზიდავს, ამიტომ ერთ უმთავრეს საკითხს შეადგენს ამ ხალხის გამოფენის დროს დაბინავების და გამოკვების საქმე. ცხადია, რომ ამ დროს ყველაზე უფრო თავისუფლათ შესაძლებელია მოსული ხალხის გაყვლეფა, ამის წინაშე აქ ყველა ულონოა. არც ერთი გამოფენა ამ მხრით, არც უცხოეთში და არც ჩვენში, კეთილ მოწყობილათ არ ჩაითვლება. ასევე ითქმის აწინდელ გამოფენაზეც. ამ გარემოებას კარგათ ხედავდა ნიჟნი-ნოვგოროდში არსებული მასწავლებელთა დამხმარებელი საზოგადოება და ამიტომაც შეუდგა გამოფენაზე მოსულ სოფლის მასწავლებელთათვის იაფათ მოთავსების და დაბინავების საქმეს. ამისათვის ვისაც სურდა იქ წასვლა, საჭირო იყო წინდაწინ განცხადება. ჯერ კიდევ ვინემ გამოფენა გაიხსნებოდა ამნაირი განცხადება 6100 მეტი შევიდა ხსენებულ საზოგადოებაში; საზოგადოებას კი მხოლოთ 5500 კაცისთვის შეეძლო იაფი ბინის შოვნა. ამ ჟამათ გამოქვეყნებულია ფინანსთა მინისტრის განკარგულება, რომლის ძალით ყველა სასწავლებელთა მოსწავლეებს უფასოთ წასვლის ნება ეძლევათ გამოფენაზე. უფასოთ წასვლის ნება ეძლევათ აგრეთვე ხსენებულ გამოფენაზე რუსეთის ყველა ფაბრიკების და ქარხნების მუშებს.

---

## ზეპირ გადმოცემანი,

ზემო იმერეთში შეკრებილი და ჩაწერილი გ. წერეთლის მიერ.

გარსია ლონლაძის ნაამბობი რუსის ჯარის პირველ შემოსვლაზე იმერეთის დასაპყრობათ.

### მესამე ამბავი. *)

ამ დროს მეფის სარდლათ ითვლებოდა ქაიხოსრო წერეთელი. იმასა და ზურაბ წერეთელ შუა პირდაპირი მტრობა იყო ატეხილი, რადგან ერთი იყო სოლომონ მეორის, იმერეთის მეფის, ერთგული ყმა, და მეორე კი მისი წინაალმდეგი, რომელიც იჯდა საჩხერეს და ჰქონდა მიწერ-მოწერა გამართული იმერეთის არეულ საქმეებზე მთავარმმართებელთან, რომელიც ემზადებოდა ზურაბ წერეთლის რჩევით ჯარის შეყვანას იმერეთში ციხეების ასაღებათ და ამ ქვეყნის ხელში ჩასაგდებათ.

ქაიხოსრო წერეთელმა წინდაწინ იცოდა ეს ამბავი და, როგორც მეფის ერთგულმა ყმამ და იმერეთის სარდალმა, მოახდინა დროის შესაფერი განკარგულება. ის გამაგრდა ორასი ჯარის კაცით კორტოხზე. მა'ს თან ახლდა ბრძოლაში გამოცდილი მარჯვე კაცები: გოგია გოდაბრელიძე, მამუკა აბაშიძე და დათა საყვარელიძე, რომელიც თავის კაცებთან გამაგრდა საფიჩხიაზე (სურამის მთების მაღლობებზე). ქაიხოსრო წერეთელს საყარაულოზე (ხეფინისხევის გადასავალზე) ჰყავდა დარაჯები დაყენებული, რომელთაც მეთაურობდა მხნე მეომარი გოგია გოდაბრელიძე; რუსის ჯარები მოადგნენ კორტოხს და საყარაულოს ერთ დროს! შეიქნა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგძელდა რამდენსამე დღეს. იმერლები თავგამოდებით იბრძოდენ და დიდი ზარალიც მისცეს რ ესის ჯარს, რომელსაც წინ უძღოდა ზურაბ წერეთელი და საიდუმლოთ გასავალი გზებით თავს უვლიდა ქაიხოსრო წერეთლის ჯარს, მაგრამ ყოველი მისი ცდა და ხერხიანობა ამაოთ დარჩა. ვერც აქ და ვერც საყარაულოზე რუსის ჯარები ვერ შემოუვიდენ იმერლებს. ამ ბრძოლაში მამუკა აბაშიძე დაჰკრეს ხმალ-და-ხმალ გადასევის დროს და ბასილიკა ლონლაძემ ზურგით გამოიტანა ის ბრძოლის ველიდან. აქ რომ ვერა გააწყვეს რა, მერე ზურაბის რჩევით უეცრათ თავს დაესხენ საფიჩხიაზე. დათია საყვარელიძემ აქ გმირულათ ისახელა თავი და გამაგრდა სანამდის ქაიხოსრო წერეთელი არ მიეშველა. მას ჰყავდა მედროშეთ კაცია იაშვილი *), კაცი მხნე, ახოვანი და დიდ ტანოვანი. საცა ის გაჩნდებოდა თავზარ დამცემი ხმით, ყოველგან იმარჯვებდენ. „კაცია იაშვილი მოდისო“ — რომ გაისმოდა ჯარში, დაღონებული და ძალიან დაღალულიც რომ ყოფილიყვენ, მაინც ყველა ცოცხლდებოდა ბრძოლაში და გამხნევდებოდა. ქაიხოსრო წერეთელი კაცია იაშვილს გვერდით არ იცილებდა და ბრძოლაში ხშირათ მის დროშას უკან დაყვებოდა. კაცია იაშვილს ჯვარის მტვირთველს და მედროშეს ეძახოდენ! რუსის ზარბაზნებმა საფიჩხიაზედაც ვერა გააწყვეს რა

---

*) ის. „კვალი“ № 25.

*) კაცია იაშვილს მეც მოვსწრებივარ. ის ფუ... ღრმა მოხუცებული, წელში მოხრილი და წინსაბჯ... ჯოხით დადიოდა. თუმცა ნახევრათ ძირს იყო დაღუნ... ლი, მაგრამ შუატანის კაცი მაინც ბეჭებამდის ვერ წვე... ბოდა. მე ვიყავი იმ დროს თორმეტი წლის ბავშვი და... განჯზე რომ დავეზომებოდი, მისი მუხლის თავამდის... ზე მწვდებოდა. ამ კაცს ჰქონდა თოვის წამწამ... ებები ამოშავებული, არწივის ნისკარტსავით მოხრილი ცხვირი და დიდრონი თვალები. დიდი ხმით იცოდა ლ... პარაკი და ალარცარაფერი რწამდა ასლანდელი დროის.

გ. წერეთელი.

მაშინ ზურაბ წერეთელმა მიწერა წიგნი ქაიხოსროს: „ჩემო ხელმწიფე ბატონო მეფის სარდალო. რუსის ჯარი იმერეთში სამტროთ კი არ მოდის, არამედ სამოყვროთ. მეფეს უნებებია ქუთაისს გადასვლა ვარციხიდან და რუსის ჯარის თანხლება. ბატონი თვითონ არ წუხს სამეფო ტახტს და ჩვენ რისი მაქნისი ვართ. სიცოცხლე რისთვის უნდა გავიმწაროთ, როცა პატივი, დიდება და ღირსეული დასაჩუქრება მოგველის. ჩვენ აქ ჯარები ყოველ დღე გვემატებიან. დღეს თუ ხვალ საფიჩხიაზე გადმოვალთ და თქვენი ერთი მუჭა ჯარი რომ ხელში ჩაგვივარდეს, რაღა პირით უნდა ეჩვენოთ მთავარმართებელს. ჯობია უკან დაიხიოთ და გზა მოგვცეთ ვარციხისაკენ, საცა მეფე უნდა შემოგვეგებოს და დიდებით შევიყვანოთ ქუთაისში. თქვენი ფეხთა ერდომი ძმისწული დ ერთგული მოსამსახურე ზურაბი“. ამას შემდეგ ქაიხოსრო წერეთელმაც არჩია უკან დახევა. იჭერიც აიღო, ვაი თუ ტყულაც ვიბრძოდეო. იქ მეფე თუ გაურიგდა მთავარმართებელს, მე აქ რაღა მაქნისი ვიქნებიო. მოშალა ჯარები საფიჩხიაზე, დაიხია უკან და გაემართა მეფესთან ვარციხეს.

მოდანახის ციხის აღება

ნანია ჯაფარიძის ნაამბობი, რომელიც იყო 96 წლისა და მიიცვალა მეოთხმოცე წლებში.

მეოთხე ამბავი.

მეფე სოლომონ მეორე რომ გაიქცა ქალაქიდან, მას თან გაყვა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი. ხოლო მეუღლე მისი ქეთევან აბაშიძის ასული, ქალი მამაცი დ დიდბუნებოვანი, შევიდა ჯარებით მოდანახის ციხეში და განიზრახა თავგამეტებით ბრძოლა, როგორც ერთგულმა მეფისამ და თავის ქმრის ქაიხოსრო სარდლის მომაგიერემ. ზურაბ წერეთლის შვილმა, გრიგოლ წერეთელმა, საჩქაროთ წამოიყვანა ერთი რაზმი რუსის ჯარისა თავისი ზარბაზნებით ულევზე და ჩამოიყვანა ხოდაბუნში, საცა იყო ციხე სახელათ „ნაჩიუმზირე“. ეს ციხე ზურაბ წერეთელმა წაართვა ორ ძმას აბაშიძეს, რომელნიც დაიჭირა და გაგზავნა ახალციხეს გვალაფაშის მისაყიდათ. ერთი მათგანი შემდეგ კვლავ დაბრუნდა იმერეთში და შეიქნა წინაპარი სავანელი აბაშიძეებისა; მეორე ძმა შეიწყნარა სულთანმა და უბოძა მას ადგილ მამული აჭარაში. ამ აბაშიძის შთამოება დღეს სანჯახბეგი აბაშიძეები არიან, ქვემო აჭარაში და ბათუმში მცხოვრებნი.

სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, გამაგრდა მოდანახის ციხეში. მეციხოვნეთ და ზარბაზნების გამგეთ მასთან იყო ბასილიკი ლონლაძე. თვით მოდანახის ციხე დღესაც მიუდგომელ კლდის ქედზეა გადმომდგარი, დაბა საჩხერის თავზე, ჩრდილოეთით. სამხრეთით იმის პირ და პირ მდ. ყვირილას გაღმა ძირს ჭალაზე დღესაც შეინიშნება აბაშიძისეული ციხის ნანგრევი, რომელიც იმდროს გრიგოლ წერეთელს ეჭირა და საცა მან დააბინავა რუსის ჯარი მოდანახის ციხის ასაღებათ. მალე შეიქნა ძლიერი ზარბაზნების ცემა. ხოდაბუნის ციხიდან რუსის ჯარმა დაუშინა მოდანახის ციხეს ყუმბარები, მაგრამ რადგან მოდანახის ციხე ძალიან მაღლობზე იყო და ყუმბარები ქვეიდან მოდიოდა, ვერა დააკლო რა. მომეტებული ნაწილი ზარბაზნების ყუმბარებისა ციხეს ვერ უწევდა და ძირს ეცემოდა ფერდობზე, ზოგიერთი ჰხვდებოდა ციხის ბურჯებს, მაგრამ ვერას აკლებდა, მაშინ როდესაც ბასილიკმა ლონლაძემ რამდენიც დაუნიშნა ზარბაზანი, იმდენი ყუმბარა ან ხოდაბუნის ციხის კედლებს მოარტყა და შეანგრია, ან თვით ციხეში გადააგდო. ცოტა ხანს შემდეგ დაინგრა ცუდათ ნაშენები ხოდაბუნის ციხის კედლები და გრიგოლ წერეთელი იძულებული იყო ჯარი ციხიდან გამოეყვანა და მოშორებით ველზე დაებანაკებინა. აქედან რომ ვერა მოუხერხეს რა, რუსის ჯარი ღამით აიბარგა და გავიდა ყვირილის მარჯვენა მხარეზე, შეუყვა მდინარეს ჩიხურის ხეობას, შემოუხვია დუნთის ქედზე, აღმოსავლეთით და შეიპარა თოდაძის ციხეში, რომელიც თითქმის თანასწორ სიმაღლეზე იდგა მოდანახის ციხესთან ერთი ვერსის მოშორებით აღმოსავლეთისკენ. მესამე დღეს რუსებმა მოუწყვეს აქედან ზარბაზნები და დაუშინეს მოდანახის ციხეს. ბასილიკი ლონლაძე შეფიქრდა. იმას ყველა ზარბაზნები სამხრეთისკენ ჰქონდა მომართული. რამდენიმე ყუმბარა ჩავარდა ციხის გალავანში და გასკდა. მოდანახის მეციხოვნენი შევიწროვდენ. მაგრამ ქეთევან აბაშიძის ქალი ამ გაჭირვებამ უფრო გაამხნევა.

იმან ბძანა, ციხეში წყლის მოშვება, რომ გალავანში წყალი ნახევარ არშინზე მდგარიყო, და რაც ყუმბარა გადმოვარდებოდა გალავანში, მისი მოკიდებული ჩლა წყალს გაექრო და აღარ გამსკდარიყო. მან ამასთანავე ბძანა ნაბდები დაესველებინათ. ამ დროს გადმოაგდეს თოდაძის ციხიდან ერთი ყუმბარა, რომელიც სარდლის მეუღლის მახლობლათ დაეცა ჩლა-აფუებული და ჯერ არ გამსკდარიყო. ქეთევანმა უცბათ აიღო თითონ სველი ნაბადი, გადააფარა ყუმბარას და ჩლა გააქრო. ამასობაში ბასილიკმა ლონლაძემ სამხრეთისკენ მომართული ზარბაზნები

ალმოსავლეთისკენ მოაწყობინა და ნიშანში ამოიღო ის ზარბაზნის ტუჩი თოდაძის ციხისა, საიდანაც უფრო მარჯვეთ ისროდენ ყუმბარებს, ესროლა, ყუმბარა ზარბაზნის ტუჩში შეაძერინა და გახეთქა. მეორე სროლით წამლის ყუთი აუხეთქა. გრიგოლ წერეთელმა საჩქაროთ მოაშლევინა ზარბაზნები და რუსის ჯარმა უკან დაიხია დუნთის ქედის ბოლოზე. შეწყდა ბრძოლა. ბასილიკ ლონლაძეს, როგორც საუკეთესო მსროლელს ზარბაზნისას, ძალიან აქებდენ. მოდანახის ციხეში შეექნათ დიდი მხიარულება და მეჯლისი. ამას შემდეგ მოპირდაპირენი თითქოს დამყუდრდენ. სროლა აღარ იყო. ერთ საღამოს ქეთევან სარდლის მეუღლეს მოუვიდა გრიგოლ წერეთლის ბარათი, რომელშიაც ის ეფიცებოდა წმიდა სამებას და სავანის წმიდა გიორგის, რომ მე შენი ერთგული და მოყვარული მაზლისწული ვარო. ნება მიბოძე, მოვიდე და დედათ ალგიარო, ძუძუზე კბილი დამადგმევინე, *) რომ უფრო დამერწმუნოვო. დიდი მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან. შენ შეგიძლია, სოლომონ მეფე ისევ იმერეთში დააბრუნო შენი მეუღლით თურთ,—რუს ხელმწიფეს შეარიგო, ქვეყანა დაამშვიდო, ჩვენზედაც მეფის წყალობა გადმოავლინო და ხელმწიფე იმპერატორის ნებაც ეს არის, რომ ის მხოლოთ მფარველობდეს მეფეს და მეტი არა უნდა რაო. ქეთევან აბაშიძის ქალს იამა ასეთი ქცევა გრიგოლ წერეთლისა და დანიშნა დროც, რომ მარტო ის შემოეშვათ ღამით ციხეში და მიწერა მას, მარტოთ მარტო მოდიო.

მართლაც მეორე ღამეს შეიყვანეს გრიგოლ წერეთელი მოდანახის ციხეში სარდლის მეუღლე ქეთევანთან მოსალაპარაკებლათ. გრიგოლმა აასრულა წმიდა ხალხური ჩვეულება, დაადგა კბილი ძუძუზე ქეთევანს, შეიქნა მისი შეილობილი და შემდეგ ნება მიცა, რომ პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, რომელიც რუსის ჯარს წინამძღოლობდა, რამდენიმე ჯარით და გრიგოლის ხლებულებით შესულიყვენ მოდანახის ციხეში. მეორე დღეს მოხდა საშინელი ამბავი. როგორც რომ გრიგოლს და სიმონოვიჩს ციხის კარები გაუღეს, შეცვივნდენ ციხეში გრიგოლის მომხრეები და რუსის ჯარი; თვითონ გრიგოლ წერეთელი მივარდა ქეთევანს, დაიხვია ხელში მისი ნაწნავები და თრევით გამოიყვანა ციხეს გარეთ.

სარდლის მეუღლე ქეთევან დაატყვევეს, თავი კაცები ზოგი მოკლეს, ზოგი დაიჭირეს, და ციხე აიღე'. ბასილიკი ლონლაძე კი გაიქცა.

---

გარსია ლონლაძის ნაამბობი.

მეხუთე ამბავი.

მოდანახის ციხე რომ აიღეს და ხალხი დაშოშმანდა, მას შემდეგ ბასილიკამ ლონლაძემ ჩალანდრობა დაიწყო. ის დადიოდა ახალციხეს და სამცხე-საათაბაგოს სავაჭრო საქონლის გადასატან-გადმოსატანათ. იმას ჰქონდა ყოველგან ხმა დავარდნილი ვაჟკაცობისა. ოსმალებმა შეიტყვეს მისი ვინაობა და აზრუმის ფაშამ განაზრახა კაცები, რამენაირათ ბასილიკი ლონლაძე შეეპყროთ და მასთან მიეყვანათ. ოსმალები გაუდარაჯდენ იმას ვახანის მთაზე და დაიჭირეს გძელი თმების საშუალებით, რომელიც ბასილიკს მხრებზე ეყარა. ის მიიყვანეს აზრუმის ფაშასთან, რომელმაც ბძანა, ბასილიკი დაემწყვდიათ ცხრა-კლიტურში. ერთ ღამეს ბასილიკი ძალიან შეწუხდა საპყრობილეში და ბოლოს მიწაზე გართხმულს მიეძინა. ძილში მას გამოეცხადა სავანის წმიდა გიორგი და უთხრა: ადე, ბასილა, გაწეწკე კბილით ყალიონის ტარი და მითი გააღებ ციხის ბოქლომებსო. ბასილიკი წამოვარდა ნამძინარევი და მაშინვე აასრულა წმიდის გიორგის ბძანება. ის გამოვიდა ციხიდან, რათიც იქნა, მიატანა ერთ ქვის ლოდთან, რომელიც მთის სერზე იდვა. იქ გატეხა ბორკილი, გახია ორათ ბამბის სარტყელი და მითი მიიკრა ცალ-ცალ ფეხზე ბორკილის ნამტვრევები, იქიდან წამოვიდა, გადმოვლო დევებოინის მთა. დილის სულმაც მოატანა. ბასილიკს შეეშინდა მდევრებისა და განიზრახა დაღამებამდის სადმე ტყეში დამალვა. იქვე ნახა ერთი ხის ფუღურო და შიგ შეძვრა. მალე მოესმა მას ძაღლების წაწკანი და თარეშების ხმაურობა. აზრუმის ფაშას გამოეკიდებინა თარეშები გაქცეული ტყვის შესაპყრობათ. მას-და ბედათ ძაღლებმა და კაცებმა გაირბინეს იმ ხის გვერდით, რომლის ფუღუროშიაც ბასილიკი იყო მიმალული, მაგრამ ის კი ვერ მიაგნეს. როცა დაღამდა ბასილიკს მეორეთ გამოეცხადა სავანის წმიდა გიორგი და უჩხია უმთვარო ღამეში ჩემ შუქს მიჰყევიო. ამ სახით იარა და იარა ბასილიკმა ჩრდილოეთისკენ, საითაც მას წინ უძღოდა წმიდის გიორგის შუქი. როცა დღე მოატანდა, ის შეძვრებოდა სქელ ჯავში და იქეძინა. გზაზე ჰამდა მხოლოთ ახალ გამოსულ ფოთოლს და ღელალუნტის ძირს, სვამდა წყალს. ბოლოს, როთიც იქნა, მოატანა ვახანის სერს და გამოვიდა სომშვიდობოზე. იქიდან გამოყვა ნაცნობ სოფლებს, საცა ბასილიკი დიდი ალტაცებით მიიღეს და მოუსვენეს. ჩამოვიდა თუ არა სავანის სოფელში, მან მაშინვე მოაშურა წმიდის გიორგის ეკლესიას და თავვანი სცა წმიდის გიორგის ხატს ხსნისათვის.

---

*) იმერეთში „ძუძუზე კბილის დადგმა“ ნიშნავდა შვილობილათ მიღებას და შემდეგ ვინც ამ ჩვეულებას გატეხდა, ის შეიქნებოდა მკვიდრი დედის მკვლელი.

გ. წერეთელი.




დათვზე ნადირობა.

## ვუძღვნი მარჯორი ვორდროპის ქალს.

უცხოსა მხრიდან მოფრენილო,
უცხო სტუმარო,
გრძნობით ალესილო, მხიარულო,
ტკბილ მოუბარო!
ჩვენს თანამგრძნობელს, აწ ჩვენ მცნობელს
და მეგობარსა,
მეც აწ მოგიძღვნი ტკბილათ სალამს,
ქართველთ მკობარსა,
რომ ჩვენი ენა შეიყვარე და შეითვისე,
ჩვენც თანაგრძნობით, როგორც ჩვენ შვილს
გიყურებთ ისე.
შენ გსურს გაიცნო უცხო ტომთა
ჩვენი ზნეობა,
წარსულთა ძველთა, ქართველთ გმირთა
ბრძოლა მხნეობა.
სისხლით მორწყული საქართველო
მტერთგან დევნული,
მამა-პაპათა მძლავრი მკლავით
აწ განდევნილი.
შენ შეგვიყვარე, შეგვიერთდი
უცხო ტომთ სქესი,
ჩვენ გულში ღრმათ არს შენი ხსოვნა
შენგან ნათესი.

გნ. ნინო ორბელიანისა.



გველების მომთვინიერებელი.

## გველების მომთვინიერებელი.

სხვა-და-სხვა ცხელ ქვეყნებში, სადა მრავალი დიდი და ძალიან გესლიანი გველები არიან, იპოებიან ისეთი კაცები, რომელნიც იჭერენ გველებს, თუნდ ძალიან გესლიანებიც იყონ, სხმენ კალათებში ან დიდ ქოთნებში და ათვინიერებენ, ესე იგი ათამაშებენ და ბევრ ნაირს მოქმედებას აწვავლიან. სხვათა შორის ინდოეთის ბრამინებმა ზედ მიწევნით იციან ეს ხელობა. უბრალო ხალხი ძრწის ამისთანა ბრამინის წინაშე და ფიქრობს, რომ იგი ან გრძნეული კაცი უნდა იყოსო, ან რაიმე ჯადო უნდა ჰქონდესო, რომ საშინელს გესლიან გველს იჭერს, ათვინიერებს და ათამაშებს ხალხის წინ.

გველების მომთვინიერებელს ბრამინს (ინდოელს ბერმონაზონს) აქვს ერთნაირი სალამური და ამ სალამურს რომ დაუკრავს, თუ სადმე გველი მახლობლათ, უსათუოთ გამოვა ხვრელიდან და მიადგება სალამურის დამკვრელს; ან არა და, ვისაც გველები დაჰყავს კალათში, ან ყუთში ჩასმული, როცა თავს მოხდის და სალამურს დაუკრავს, გველს რომ კიდეც ეძინოს, გაიღვიძებს, გადმოვა თავის ბინიდან, თან-და-თან ფიცხდება, შემდეგ ბრაზდება კიდეც და შიეარდება სალამურის დამკვრელს საკბენათ, მაგრამ მოხერხებაც იმაშია, რომ სალამურის დამკვრელი გამაცადინებულია, არ აკბენინოს და ისე დაღალოს, რომ ბოლოს გველი, არაქათ-გამოლეული, ძალა-უნებურათ ნებდება თავის მტარვალს და, როგორც მას სურს, ისე ათამაშებს.

ბრამინები და მოჯამბაზეები უფრო საშინელ გესლიან გველებს იჭერენ და იმათ აშინაურებენ; ზოგი მათგანი გესლიან კბილებსაც დაუმტვრევს გველს, რომ კბენა აღარ შეეძლოს, მაგრამ დამტკიცებულია, რომ ბევრი მათგანი არას ავნებენ გესლიან გველს, ისე აშინაურებენ და ათამაშებენ ხალხის წინ.

მოგზაური რეინე ამტკიცებს, რომ გველის დამჭერლებს ერთნაირი უსიამოვნო ხმის სალამურით გამოჰყავთ გველი ხვრელიდან და ამ საშუალებით იჭერენო. „მე თვითონ მინახავს, ჰიჰყინა სალამურით რომ ერთმა ბრამინმა გველი გამოიყვანა ხვრელიდან და დაიჭირაო. 1854 წელს ბუნგალაში ერთი გველის შემლოცველი მოვიდა ჩემთანო—ამბობს რეინე—და მითხრა, ნება მომეცით გველები ვათამაშო თქვენ წინაშეო. მე ვუთხარი, ეგ კი არა და, ერთ მანეთს მოგცემ, თუ წამომყვები ასპიტი გველის დასაჭერათ, რომელიც ერთ შამბში ბუდობს-მეთქი.—დიახ, ბატონი ბძანდებით, მითხრა მან. წავედით და დასწაელილ ადგილს რომ მივედით, გველის შემლო-

ცველმა ამოიღო ერთი პაწია სალამური და დაუკრა. დიდი ხანი არ გასულა, გავიხედეთ, და ჭრაჭველების ხვრელიდან ამოყო თავი ერთმა საშინელმა გესლიანმა ასპიტმა, მოუახლოვდა სალამურის დამკვრელს და რომ დაგვინახა, შეეშინდა, გაბრუნდა უკან, გაქცევა დააპირა, მაგრამ გველის შემლოცველმა უცებ სტაცა კუდში ხელი და გარშემო ქნევით მოიტანა შინ. აქ გააგდო ხელიდან და დაუკრა სალამური. გველმა თავი მაღლა აიღო და მოჰყვა ცეკვას, ეტყობოდა, საშინელი გაბრაზებული იყო. გველის შემლოცველმა მოუნდომა დაჭერა, მაგრამ იმან მოასწრო და მუხლზე უკბინა. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ გველის შემლოცველმა სული დალია. მართალია, გველის შემლოცველები ძალიან ხერხიანათ იქცევიან გესლიანი გველების მოთვინიერებაში, მაგრამ ხშირათ იმათი მსხვერპლიც ხდებიან.

გ. წ.

## ორიოდე სიტყვა ყვავილის აცრის შესახებ.

(ყვავილის აცრის ასის წლის დღესასწაულის გამო).

ყვავილი, როგორც მოგეხსენებათ, ერთი უსაშიშროესი გადამდებ სენთაგანია; წარსულ საუკუნეში მისი სახელი თავს ზარ დამცემი იყო ყოველ ადამიანისათვის. გაჩნდებოდა თუ არა ყვავილი რომელსამე ოჯახში, მაშინვე ავათმყოფს ღვთის ანაბარათ ტოვებდენ და სხვაგან შორს, სადმე მთაში იხიზნებოდენ. ამგვარათ ქმარი ტოვებდა ცოლს, დედმამა—შვილებს, და ძმას და მიისწრაფოდენ უფრო მიმალულ და უშიშარ ადგილებისაკენ. „ყველა თრთოდა ყვავილის სახელის გაგონებაზეო“, წერდა ექიმი თებეზიუსი 1651 წელს. ცნობილ სტატისტიკოს ოსტერლენის გამოკვლევით ევროპაში აცრის შემოღებამდის ყვავილის მსხვერპლათ ხდებოდა ორთაშუა რიცხვით $^1/_{10}$—$^1/_{12}$ ნაწილი ყველა მცხოვრებლებისა. ამ სენის მსხვერპლათ ხდებოდენ უმეტეს ნაწილათ ბავშები, ასე რომ აღემატებოდა 60%. ვინ მოთვლის რამდენი ადამიანის სული უმსხვერპლია ამ ჩვენში „ბატონებათ“ აღიარებულ სენს, რამდენი ადამიანის ოჯახი დაუობლებია ანუ ძირიანათ ამოუწყვეტია, რამდენი მისგან დამახინჯებულა და რამდენს უდროვოთ დახშვია თვალთა მხედველობა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ადამიანი დიდი ხანია ცდილობდა რაიმე საშუალება მოეპოვებია ამ უწყალო სტკივრის წინააღმდეგ. ინდოეთში, ჩვენში და შუაგულ აზიის სხვა-და-სხვა მხარეებში ქრისტეს შობის რამდენიმე ასის წლის წინეთ გულ-მოდგინებით ეძიებდენ ყვავილისაგან გამკურნებელ საშუალებას. ხალხი ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ როდესაც განგებ შეახვედრებდენ ყვავილს, ადამიანი უფრო ადვილათ იხდიდა, ვიდრე შემთხვევით შეხვედრილს. ამიტომ საღ ადამიანს აცმევდენ ყვავილიანის ნაცვამ პერანგს ანუ განგებ უწყლულებდენ სხეულის კანს და შემდეგ უხევდენ ყვავილის ჩირქით გასვრილ მიტკლის ნაჭრით.

ბოლოს კარგი შედეგით გათამამებულებმა ხელი მიჰყვეს პირდაპირ ყვავილის ბუშტში (оспенная пустуль) მოთავსებული ჩირქით ყვავილის აცრას. ამ გვარათ შემოღებული იქნა ეგრეთ წოდებული „ვარიოლაცია“ ანუ წესი ყვავილის აცრისა ყვავილიანივე ადამიანის ჩირქის საშუალებით.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში (1717 წ.) ექიმმა თიმონიმ სტამბოლში პირველათ აუცრა ყვავილი ერთ ინგლისელ ელჩის Montagne-ის შვილს, რომელმაც ყვავილი მეტათ ადვილათ მოიხადა. შემდეგ—Montague-ის ცოლმა ლონდონში წაიღო, რამდენიმე ყვავილის ჩირქით გაჟღენთილი ძაფები და იქ მრავალ სწავლულ და წარჩინებულ პირთა თანადასწრებით 1720 წ. აუცრა ყვავილი თავის ქალს. ბავშმა ყვავილი ძლიერ ადვილათ მოიხადა. ამ შემთხვევამ დიდი გავლენა იქონია ინგლისელ სამეფო ხალხზე. მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა სცადონ ეს საშუალება რამდენსამე დამნაშავეზე და როცა გამოცდილებამ აქაც სასურველი შედეგი მოიტანა, შემდეგ მთელმა სამეფო სახლობამაც აიცრა ამ წესით ყვავილი. ამ გვარათ „ვარიოლაციას“ ბევრი მომხრეები გამოუჩნდა და მალე გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში. თუმცა ამას შემდეგ ბევრმა ექიმებმა საფუძვლიანათ შეიმუშავეს „ვარიოლაცია“, მაგრამ ყვავილის აცრის საქმე ჯერ კიდევ დიდ შრომას თხოულობდა, ჯერ კიდევ დიდი ცვლილება უნდა მოეხდინათ, სანამ იგი მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარდებოდა. საქმე ის არის, რომ ამ წესით აცრილნი მცირე ავათ ხდებოდენ და ამასთანავე სიკვდილის შემთხვევებიც არ იყო იშვიათი. გარდა ამისა ზემოთ აღნიშნულ წესით ყვავილის აცრა, ერთი ადამიანიდან მეორეზე ჩირქის გადატანა, ხელს უწყობდა სხვა-და-სხვა გადამდებ ავათმყოფობათა გავრცელებას; მაგალითათ, ამგვარათ ვრცელდებოდა ათაშანგი (сифилисъ), ეს მოხდებოდა მხოლოთ მაშინ თუ ვინიცობაა პირველი, ე. ი. ის პირი, რომლიდანაც ჩირქი მიჰქონდათ, ათაშანგით იყო დაავათმყოფებული, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ყვავილის ჩირქს თვით ათაშანგის შხამიც თან მიყვებოდა.

მაგრამ თავი და თავი მიზეზი, რომლის გამო უარყვეს „ვარიოლაცია“ ის იყო, რომ იმ პირს, რომელსაც ბუნებრივი (ადამიანის) ყვავილი ჰქონდა აცრილი, ხალხი თვლიდა ყვავილის გამავრცელებელ ბუდეთ და ამაში არც ცდებოდა. დიახ, ბატონებო, ამ პირების საშუალებით ვრცელდებოდა ხალხში ყვავილი და ჩნდებოდა ისეთ ადგილებში, რომლებიც წინათ, აქ მოსვლამდის სრულიად თავისუფალი იყვნენ ამ სენიდან. სამართლიანობა მოითხოვდა „ვარიოლაციის“ უარყოფას, და ასეც მოხდა, ეს ადვილი მოსახერხებელიც იყო იმ დროს, რადგან ერთმა ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჟენნერმა სულ სხვა ნიადაგზე დააყენა ყვავილის აცრის საქმე. მეცნიერებს დიდიხნიდან და იმათზე წინ უბრალო მეურნეებსაც შემჩნეული ჰქონდათ, რომ ყვავილი შინაურ საქონელსაც დაემართებოდა, მაგ. ცხენს, ცხვარს და ძროხას. ამ უკანასკნელს ყვავილი მარტო ცურზე გამოაჩნდება. იციოდენ აგრეთვე, რომ აღნიშნულ პირუტყვთა შორის ძროხა ყველაზე უფრო ადვილათ იხდიდა ყვავილს. ხშირათ მომხდარა, რომ ძროხის ყვავილი ადამიანს დამართია, განსაკუთრებით ძროხის მწველელთ. შეამჩნიეს კიდევ, რომ ის პირი, რომელმაც ძროხის ყვავილი მოიხადა, ბუნებრივი (ადამიანის) ყვავილით აღარ გამხდარა და თუ გამხდარა ძალიან ადვილათ მოუხდია. ეს უბრალო ფაქტები, რომელნიც იზიდავდენ სწავლულთა და უბრალო მომაკვდავთა ყურადღებას ჯეროვნათ შეიმუშავა და მეცნიერულათ განმარტა ზემოთ დასახელებულმა ექიმმა ჟენნერმა. ერთხელ, როცა ჟენნერი ძროხის ყვავილის გამოძიებაში იყო გართული მას აზრათ მოუვიდა: მოდი ძროხის ყვავილით ადამიანს ავუცრი, სწორეთ იმავე წესით, როგორც წინეთ ბუნებრივ ყვავილს უცრიდენო. ამ აზრის განხორციელებას შემთხვევაც ხელს უწყობდა: მას მოუყვანეს ერთი ახალ გაზდა ქალი, სარრა ნელმესი, რომელიც რძით ვაჭრობდა ქალაქ ბერკლეიში და რომელსაც ხელზე ძროხის ყვავილი გამოჩენოდა. აი, ამ ქალის ხელიდან აიღო ჟენნერმა ყვავილის ჩირქი, „ვაკცინა“, და აუცრა ერთ რვა წლის ბავშს, სახელდობ. დჟეიმს ფიპს; როცა ამ ყმაწვილს აცრილი ადგილი დაუჩირქდა და შემდეგ ჩაუმა ჟენნერმა მას ბუნებრივი (ადამიანის) ყვავილი აუცრა, მაგრამ ეს უკანასკნელი აღარ გამოჩენია. ჟენნერის გამოკვლევა ყველასთვის ცხადი და თვალსაჩინო იყო, მაგრამ კიდევ დიდი ხანი გავიდა, სანამ იგი მსოფლიო ყურადღებას დაიმსახურებდა და გავრცელდებოდა. თითქმის მთელი ოც და-ხუთი წელიწადი გულ მოდგინებით იმუშა ჟენნერმა თავის მიერ აღმოჩენილ საშუალებაზე, ბევრი ლანძღვა გინება, წყევლა-კრულვა გადიტანა, მაგრამ მოსარჩლენი და თაყვანის მცემელნიც სამყოფი ჰყავდა. ამ წარსულ $^{2}/_{14}$ მაისს ასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ჟენნერმა ყვავილის აცრა გამოიგონა და რას ვხედავთ? — ყველა განათლებულ სახელმწიფოებში სავალდებულოა ყვავილის აცრა, დაარსებულია მრავალი ყვავილის ამცრელი საზოგადოებანი და ინსტიტუტები, რომელთა უმთავრესი მიზანია ხალხში გაავრცელონ ჟენნერის წესით ყვავილის აცრა და ამასთანავე მიაწოდონ ასაცრელი ლიმფა, „ვაკცინა“. ბატონებო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ სტატისტიკურ ცნობებს, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ყვავილის აცრის შემოღებამდე ასს ყვავილიან ყმაწვილში სამოცი კვდებოდა; ამ რიცხვმა შეუდარებლათ იკლო, ასე რომ ახლა ეს რიცხვი 10—12% ძლიელ იშვიათათ აღემატება, მაშინ, მე მგონია, სამართლიანათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყვავილის აცრის მოგონება ერთი უდიადესი ნაყოფია ადამიანის ჭკუაგონებისა: იგი, როგორც მრავალი სხვა, ნათლათ გვიმტკიცებს ადამიანის გამარჯვებას ბუნების მავნებელ ძალებზე.

ი. თ—ძე.

---

***

ღმერთო, რას ვხედავ?.. იგივ საზარი
განხეთქილება მეთაურების;
შური, მტერობა და სამსახური
მხოლოთ პირადის ინტერესების,
რამაც დალუპა ჩვენი ქვეყანა,
დააუძლურა და გახრწნა ერი;
რამაც, არ ერთხელ, გამარჯვებული,
ჩვენზე საშინლათ აცინა მტერი,
დღესაც გვღუპავს და გვითხრის სამარეს,
საზიზღარ სენათ გადაქცეული...
ის—კი გვაქეზებს, ჩვეულებრივათ,
ჩვენ დასამხობათ გამზადებული.
— ახალგაზდობა?.. ვაი, სირცხვილო!..
თავის საკუთარ აზრის არ მქონე,
ბრბოში გართულა და ჰკარგება
სულ უნაყოფოთ მისი ძალ-ღონე.
არც დედა ენა, აღარც მწერლობა,
აღარც ტირილი დამშეულ ხალხის
მას არ იზიდავს... ქ.........ზე
და მ.......ზე ჰყვირის, იძახის;

თითქო ბანკზე და ამ ბატონებზე
მხოლოთ ეკიდოს სუყველაფერი,
თითქო სრულიად ჩვენ აღარ გვქონდეს
სხვა საზრუნავი აღარაფერი!..
სასაცილოა... სხვისთვის!.. ჩვენთვის კი
სამწუხაროა და სატირალი
და ჩვენც ვიტიროთ... ვ-ტიროთ, მუზავ,
ჩვენი ქვეყნისა მწარე იღბალი!..

დუტუ მეგრელი.

# ნ უ შ ო.

(მოთხრობა *)

## XIV.

წავიდა დრო. არ იქნა, ვერ დამშვიდდა ჯაგუ. მართალია, დადიოდა „სალხინოში“, სარისტას აძლევდა, მაგრამ სადღა იყო წინანდელი ხალისი და სიმარჯვე?! უნდოთ გაკეთებულ საქმეს ეშხი აკლდა. მუშტარმა იგრძნო და შეკრთა, ვაჭრობა შემძიმდა: პატრონი წინანდებურათ ახალ-ახალი ფანდით ფრთებს არ უსხამდა იმას. ხანდისხან ჩაფიქრდებოდა ჯაგუ და ისე იყო გარინდებული რამდენსამე ხანს; არ ესმოდა რა ხდებოდა გარშემო, სიტყვას ეუბნებოდნენ, სიტყვის ძალა ვერ შეეგნო. დაეხშო გული. დარდიან გულზე თავის მხარის ნახვა მოუნდა.

— ქალო, ძალიან მომინდა იმერეთის ნახვა. რამდენი ხანია არა ვყოფილვარ! გული რომ ესე საშინლათ მაქვს დახურული, იქნება მგზავრობამ გამართოს, გულის ვარამი გამიფანტოს, ეუბნებოდა ერთ ღამეს ჯაგუ თავის ცოლს.

— წადი, გული გადააყოლე; მალე კი დაბრუნდი: მეშინიან უშენოთ ამ სახლში.

— შენც წაგიყვანდი, მაგრამ სახლს აიკლებენ, ვაჭრობას დამიმხობენ, თუ შენ მაინც აქ არა ხარ. ხომ იცი, როგორ შურით გვიყურებენ.

— მერე მე რა ვიცი მაგეებისა?! ჰკითხა ცოლმა და გაელიმა.

— კი, მაგრამ ისე მოვაწყობ საქმეს, რომ თუ ცოტა ყურადღებას მაინც შეიძლებ, ისიც კმარა. დავამზადებ ყველაფერს, ისე რომ მაინც და მაინც ბევრს არ შეგაწუხებენ; მხოლოთ თვალი გეჭიროს. „სალხინოდან“ ყოველ დილით ანგარიშს ჩაგაბარებენ, ფულს რომ მოგითვლიან, თან დავთარს მოიტანენ და ხელს მოუწერ; ამდენ ამდენი მივიღეთქო. თუ რამ სახარჯო დაჭირდეთ, მიეცი და ბარათი ჩამოართვი მიცემულ ფულში. იქნება მომიგვიანდეს და ასე ჯობია.

ქალს გაეხარდა, რომ ქმარი საქმეზე გამოელაპარაკა ამას, რომ სახლისა და ვაჭრობის საქმესაც კი აბარებდა. ალბათ გული მოიბრუნაო, ფიქრობდა. დასკვნა მხნეთ მოჰკიდებოდა ყველაფერს, პირ-ნათლათ გამოსულიყო ქმართან.

— შენ გენაცვალე წერილს ნუ დამიძვირებ! ეუბნებოდა ქალი ქმარს, რომ ემშვიდობებოდა.

ჯაგუ ხშირათ ატყობინებდა ცოლს თავის ამბავს, წერილები გრძნობით იყვნენ ნაწერები; თითქო დამშვიდებულიყო, ბედს შერიგებოდა. ნუშომ მოიხედა, კაეშანი შეუმსუბუქდა; ლამაზობასვე მიჰყო ხელი; გარეთაც გადგა ფეხი. ახლა ქმარს მალე მოელოდა. უწინდებურათ უდარდელათ ცხოვრება ულიმოდა.

ჯერ ისევ დილა იყო. მზეს კი ახლავე გაეხურებია ქალაქის მტვრიანი ქუჩები. მოხელეები სამსახურში მიეშურებოდნენ. გლეხს რძით სავსე კოკები გადაეკიდნა სახედარზე და „დილის რძე“-ს გაჰყვიროდა. გაიღო კარები, გამოვიდა ნუშო რკინის პატარა აივანზე, რომელიც კოხტათ გადმოჰკიდებოდა ქუჩას. განიერ კაბაში, ბოშათ დაწნული თმით, ოქრომკედით მოქარგულ ფაჩუჩებში, ფურფუშებით მორთულ ფეშტამალში დიასახლისათ მოჩანდა დამკლავებული ქალი, მაგრამ ხელები, იაზმასავით წმინდა და ფიფქივით სპეტაკი ბუნჩულა ხელები ჰლალატობდნენ, ყველას ატყობინებდნენ, რომ იმათი პატრონი არ იყო საქმეს შეჩვეული.

ჩამოჰკრეს ზარი. ქალმა გადიხედა, დეპეშის დამტარებელი იყო: ჯაგუ მოდის და მოუწერია დავხვდე რკინის გზის სადგურზეო, გაიფიქრა. მოართვეს დეპეშა. გახსნა, წაიკითხა. იწერებოდნენ: ჯაგუ მძიმეთ ავათ არის, დაუყოვნებლივ წამოდიო. ელდა ეცა. უთუოთ გათავებულა, ოჯახის ბურჯი დანგრეულაო, გაურბინა ელვასავით თავში. წყეული შემოერტყა: ბნელი სწრაფათ ჰფარავდა იმის გონებას, ბნელი ლოდივით დააწვა გულზე, სული შეუხუთა: ქალი გულშეწუხებული დაეცა ხალიჩაზე. შეიქნა ჩოჩქოლი. მსახურებმა არ იცოდენ რა ექნათ. ბოლოს ნათლიასთან გაიქცენ.

ნუშო და ნათლია მაშინვე შეუდგნენ საგზაოთ მზადებას, რადგან გადაწყვიტეს მეორე დილითვე წასულიყვნენ ქუთაისს. რაც ფული ჰქონდა შინ, სულ თან წაიღო. ქმარი სულთმობრძავი დახვდა. ცოტახანს მოვიდა გონს, ჩაიკრა ქალის ხელი გულში, უნ-

*) იხ. „კვალი“ № 25.

დოდა ეთქვა რამე, მაგრამ ენა აღარა ჰქონდა; რაღასაც ანიშნებდა, მაგრამ მისულებმა ვერა გაიგესრა. მაშინვე გადაიცვალა.

მასპინძელმა აუხსნა:—გუშინ ერთათ ვიქეიფეთ, დავბრუნდით შინ და სალსალამათი კაცი უეცრათ წაიქცაო, რომ შემძიმდა. გაცნობეთო. ზოგის სიტყვით ჯდომი მოსულოდა. სხვები ეჭვიანათ კითხულობდენ, ფული ხომ არა ჰქონდაო. გასინჯეს და გროში ფული არ ამოაჩნდა, თუმცა თბილისიდან ბლომათ წამოიღო. საათი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალიც კი აღარა ჰქონდა ზედ. ერთი კი მოიკითხეს ყველაფერი და თავი დაანებეს. რას იზამდენ? დამარხეს და დაბრუნდენ.

ქალი გონს ვერ მოსულიყო, ვერ გამორკვეულიყო, რაც მოხდა ყველაფერი სიზმარივით ეჩვენებოდა. დადიოდა ოთახებში მარტო-მარტო, უაზროთ, უმიზნოთ. ხარჯი წინანდებური იყო, უფრო დიდიც: მსახურებმა დაიუკაცურეს სახლი და საცა აბაზი იყო საჭირო, მანეთს თხოულობდენ.

## XV.

ვაჭრობას პატრონობა უნდა, უმეტესათ იმისთანა ვაჭრობას, როგორიც ჯაგუსა ჰქონდა გამართული, საცა ყველაფერი იმის გამჭრიახობაზე, შრომაზე და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. უპატრონოთ ყველაფერი დაიქსაქსებოდა, როგორც ფარა უმწყემსოთ. ძალიან სათრთხილო იყო საქმე, რადგან მტრები მელებივით გარს ეხვივნენ ჯაგუსაგან დაწყებულს და თავ-მობმულ საქმეს. არც თითონ ისინი დაინდობდენ რასმე, ვინც „სალხინოში“ ტლიალებდა, როცა უპატრონოთ დაინახავდენ იმას. ამისთვის საჭირო იყო ვაჭრობა ხელათ გათავებულიყო, „სალხინო“ ალაგებულიყო, ანგარიში გაწმენდილიყო. ეს ყველაფერი კარგათ ესმოდა ნათლიას, როგორც გამოცდილ ვაჭარს, და უნდოდა იმის ჩამოსვლამდინ ყველაფერი ხელუხებლათ დარჩენილიყო. ეს იყო იმიზეზი, რომ ქუთაისიდან მოიწერა დეპეშა, ჯაგუ უკეთ არის, მალე ჩამოვალთო. ქალაქში რომ ჩამოვიდა, მაშინვე დაიბარა თავისთან რეზიკო.

— კაცო! ახლავე უნდა ავალაგო „სალხინო“, ანგარიში უნდა ვქნა და თუ რამ ნაღდი დარჩება ქვრივს ჩავაბარო. სხვა მემკვიდრე ცხონებულს არავინა ჰყავს. კანონი რას ითხოვს ამისთანა შემთხვევაში, ის შენი საქმეა, შენ უნდა მოახერხო ყველაფერი.

— ხელობა რა არი? ქალი ხომ თანახმაა შენ ჩაგაბაროს საქმე? შეეკითხა რეზიკო ცოტა ფიქრის შემდეგ.

— ყველაფერზე თანახმაა. მაშ ვისა ... თხოვ... საქმე გამიკეთეო?!

— მოვახერხებ. ჯერ გადაცვალებულის ქალალდები უნდა გაიშინჯოს: უთუოთ ანდერძი იქნება ... ცოდს უანდერძებდა. საჭირო ქალალდები უნდა შე... გეს და ქალმა ხელი უნდა მოაწეროს. ბევრი დღე... კი დაჭირდება.

— რა უყოთ რომ გარჯა დაგჭირდება! მალ... უნდა მოხერხდეს ყველაფერი, რომ პრისტავი მოვი... ვანოთ და ავწეროთ. გასამრჯელოზე თუ ეჭვობ...

— რა პასუხია! რა გასამრჯელო მინდა. მაგრამ ხომ იცი ვაჭრობის საქმე, იმ კაცს ათასგან ექნებ... ვალი; ზოგისაგან საქონელი ექნება წამოღებულ... ზოგისაგან ფულათ; ცნობაში უნდა მოვიდეს. არ... მგონია ძირს ბევრი დარჩეს, დარწმუნებული ვარ რომ... მაგდენი არა დარჩება-რა.

— შენგან არ მიკვირს! რა დარჩება? მგონი მო... ვალეებიც ძლივ დავაკმაყოფილოთ...

— კარგი! კარგი! ქალალდებს ისე შევადგ... რომ ქვრივო მე და შენ გვაბარებს თავის საქმეებ... ესე ეჯობინება.

ნათლია ამას არ ელოდა. იმას უნდოდა მ... ეხმარებია რეზიკოს გაიძვერაობა და ცოტა რამ გ... სამრჯელოთი დაეკმაყოფილებია ის; ახლა კი მიხ... და, რომ ამ კაცს თავიდან ველარ მოიწყვეტდა.

— თუ უამისოთ დავიწყო საქმე, იპოვის გზა... კვალში ჩამიდგება და....., თუ არა, მგონი მეც ს... რიელზე დამსვას, თორემ ქვრივს ვინლა ჩივის, ფ... რობდა ის.

ინანა რომ რეზიკოს მიმართა, მაგრამ გვიან... იყო. დათანხმდა.

მეორე დღეს ნათლია და რეზიკო ისე ირჯებ... დენ „სალხინოში“, როგორც საკუთარ სახლ... თუმცა დიდძალი საქონელი დაიტანეს, რადგან ყვე... ლას უარი უთხრეს ვინც ნამდვილათ დასაბუ... ბული ქალალდი არ წარმოადგინა, ვაჭრებს კი ... თი ქალალდები არ ეჭირათ, რადგან ჯაგუს უბე... წერილოთაც ენდობოდენ, თუმცა „სალხინოს“ მ... წყობილება და მთელი ავეჯი ჯაგუს საკუთრება ი... თუმცა ამოჩნდა, რომ თითონ კორსაისიც ბევ... ჰმართებდა, თუმცა კარგა ნაღდიც დახვდათ დახლ... მაგრამ ისე მარჯვეთ წაიყვანეს საქმე, რომ ყვე... ფრის გაყიდვისა და ანგარიშის გაწმენდას შემ... სულ ოც თუმნამდის-ღა ჩააბარეს ქვრივს. დიდი ... გამოიჩინა რეზიკომ: ისე მოხერხებულათ და ... დახვდეით მიჰყავდა საქმე, ისე მარდათ პოულობ... საჭირო წერილობით საბუთებს, ისე ხერხიანათ ათ... ბირებდა კანონის წამომადგენელს, რომ მოგეჩ...

ბოდათ. ქალმა მადლობა გადაუხადა კეთილის-მყოფელებს.

დაიწყო ნუშოსათვის ერთგვარი მოსაბეზრებელი ცხოვრება. დაჯავრიანებული, აზრებ-აფუტკნული ახალგაზდა ქვრივი იყო შინ, გარეთ ვერ გამოდიოდა—მგლოვიარობდა. თუმცა გამოსულიყო, ვისთან წავიდოდა? ნაცნობებმა, იმ ნაცნობებმა, რომლებიც იმის სახლში პატივცემულები იყვნენ, რომლებსაც იმის პურ-მარილი ყელში ამოდიოდათ, თითოჯერ კი ნახეს ქალი, მიუსამძიმრეს, იწუწუნეს, რომ ქალმა ცხოვრების სახსარი დაჰკარგა, შემადლეს ღმერთს, რომ ისინი არ არიან ამისთანა სამძიმო მდგომარეობაში ჩაცვივნული და წავიდნენ. ხედავდნენ ეს უხო ფრინველები, რომ საკენკი აღარ იყო იქ და გაფრინდნენ; ნუშოს ნუკეშის სასმელის მაგიერათ სამსალა ასვეს.

— ხომ მარტო დედაკაცი დავრჩი, ვაჩვენებ, რომ ისე არ დავცემულვარ მაგათზე ნაკლებათ ვიცხოვრო; დეე, თვალები დაუსკდეთ შურით, გაიფიქრა ქალმა.

მართლაც არა შლიდა ნუშო წინანდელ კეთილ ცხოვრებას, არ ატყობინებდა სახლს უვაჟკაცობას: უკანასკნელს ხარჯავდა, განა ბევრი ხანი შეიძლებოდა ასეთი ცხოვრება? ტბიდან გადადიოდა, არაფერი კი ჩადიოდა: უნდა ამომშრალიყო. შემოაკლდა ნაღდი და შეწუხდა. ფული ხომ კაცს მაშინ აგრძნობინებს თავის თავს, როცა გამოილევა. დღიური ხარჯისათვისაც აღარ იყო. დაფიქრდა. რას უშველიდა? სახლის ქირა წინათვე ჰქონდა აღებული. მიმართა სესხს, მაგრამ ფული არავინ ანდო უგირაოთ, შეენიერ გირაოებშიაც ღირებულის მეათედსაც არ აძლევდნენ, თანაც უკაცურ სარგებელს ახდევინებდნენ. დაუწყო ნივთებს გაყიდვა. ეს საშუალება უფრო იმიტომ მოწონდა, რომ ადვილათ ვერ გაიგებდნენ ოჯახის გაჭირებას, რადგან ქმრის დროსაც ხომ ხშირათა ჰყიდდა ნივთებს. გარჩევა კი იყო, ღვთის წინაშე: მაშინ რომ ჰყიდდა, უკეთესებს ყიდულობდა, ახლა კი... რომ შეუჩნდა ნივთებს ჩრჩილივით, გააწყალა. მარქრიტას გამოუვლეველი საქმე გაუჩნდა ნუშოსთან და სასარგებლო საქმეც.

გამოუცდელ ქალს არავინა ჰყავდა დამშლელი, დამრიგებელი. ნაცნობები ხომ შემოეფანტნენ, ნათლია განზე გადგა. არც ნუშოს უნდოდა იმისი სიახლოვე, რადგან რეზიკომ ჩააგონა ნათლიამ სიყალბე გასწია „სალხინოს ალაგებაშიო.

— თქვენმა მზემ, ჩემო ბატონო, თუ შემთხვევით არ შევსწრებოდი მაშინ თქვენ საქმეს, ვალსაც კი წამოკიდებდათ ის, მაგრამ მე დავემუქრე და შეშინდა. ჩარჩები არიან; ვინ მისცათ მაგათ ან სინიდისი, ან პატიოსნება?! ეუბნებოდა ქალს რეზიკო.

ამ კაცს ახლა სხვა მიზანი დაედო, სხვა აზრი მოსვლოდა ქვრივის შესახებ და უნდოდა იმისთვის ნაცნობები მთლათ შემოეფანტა. გაიმარტოვა ქალი მიზნის მისახწევათ ისე ფხილათ, ისე მოაზრებით იქცეოდა, როგორც გამოცდილი სარდალი ბრძოლის ველზე. ჯერ ისევ ათასი საქმე იყო გახლართული, ვაჟკაცის ხელი იყო საჭირო, რეზიკო კი სწორეთ მისწრება იყო ამ საქმეებისათვის. დასაწერი იყო რამე, თუ სამსჯავროში უნდოდა საქმეს გაწყობა; ნატარიუსთან, რომელიმე ვაჭართან, თუ ბანკში—ყველაფერს კისრულობდა ეს კაცი და ასრულებდა ერთგულათ, უსასყიდლოთ; გეგონებოდათ საკუთარ საქმეს აკეთებსო. თანაც ცდილობდა ქალისთვის თავი არ მოებეზრებია ხშირი სიარულით. როცა მიდიოდა, დღე მიდიოდა და მალე ბრუნდებოდა, რომ არავისთვის არაფერი ეგრძნობინებია. ეს კი იყო; სევდიანი სახით ეჩვენებოდა ქვრივს. ეს ბრგე ვაჟკაცი ისე მორჩილათ, ისეთი ნაღვლიანი თვალით უყურებდა ქალს, რომ იმის გულში სიბრალულს აღვიძებდა. მერე რა ზდილობით ექცეოდა! სულ იმის ცდაში იყო არა ეწყენებია-რა.

— ნეტა ვიცოდე, რა დარდი აქვს ამ ვაჟკაცს, იტყოდა ხოლმე ნუშო გულში.

სიბრალული ქალის გულში შესასვლელ კართაგანია.

მოვიდა ბანკში ფულის შეტანის დრო იმ ვალის გადასახდელათ, რომელიც სახლს ედო, ფული კი არსად იყო. თუ რამე ასალები ჰქონდა, დიდი ხანია აელო. ნისიათაც ბევრი ეზიდნა. ნივთების გაყიდვით-ღა ცხოვრებდა. შეშფოთდა ქალი.

— ბანკში ფულის შეტანის დრო არის. მეუბნებიან, თუ არ შეიტანე სახლს გაკიყიდიანო, მე კი ფული არა მაქვს, შეჩივლა რეზიკოს დანაღვლიანებულმა.

რეზიკომ ეს კარგათ იცოდა, მაგრამ იუცხოვა:

— იმდენს მაინც ვერ მოახერხებთ, ამ ჟამათ დააკმაყოფილოთ ბანკი?

— სულ აღარა მაქვს ნაღდი, მიუგო ქალმა და თავი ჩაღუნა, თვალებზე ცრემლი მოედინა.

რეზიკო შეწუხდა, ფიქრს მიეცა, მერე აიხედა მაღლა, მისწია სკამს ქალისკენ, ოდნავ მიაკარა ხელი იმის მაჯას, რომელიც უღონოთ გადმოჰკიდებოდა სავარძლის ფთას, და დაიწყო:

— თქვენ იცით, რა მეგობრობა მქონდა განსვენებულ თქვენ მეუღლესთან, რა პატივსა გცემთ თქვენ და იმედია გულდასმით მოისმენთ ჩემ აზრს.

— ბძანეთ, ბატონო! მიუგო ქალმა. უნდოდა ხელი მოეცილებია, რადგან ვაჟკაცის ხელი მის ხორცსა წვავდა, მაგრამ ველარ გაბედა ეს მოძრაობა, რად-

გან კაცს ისე ეჭირა თავი, თითქო ფიქრისაგან გატაცებულს არ ესმოდა რასა შერებოდა.

— შესატანი ფული მაინც და მაინც ბევრი არ არის. მართალია დიდი მდიდარი არა ვარ, მაგრამ ახლავე მოგართმევდით მაგ ფულს, რომ ერთი მოაზრება არ მაბრკოლებდეს. ვთქვათ, ახლა შეიტანეთ ხვედრი ფული, მერე ხომ ისევ მოგთხოვენ და ასე ყოველთვის რამდენსამე წელიწადს. რომ ველარ შეძლოთ როდისმე, სახლი მაინც გაიყიდება და ეს ამდენი შეტანილი ფული დაიკარგება, რადგან ვინ იცის მერე როგორ დაფოლდეს სახლი: ხომ მოგეხსენებათ შენობა მალე ფუჭდება, თუ დიდი მოვლა არა აქვს. არა ჯობია გამოსაშვები სისხლი ახლავე გამოუშვათ?

— გაყიდვის ნება რომ მივცე, ვინ იცის რა იაფათ გაიყიდოს, იქნება ვალი ძლივს მოიშოროს.

— რა ბძანებაა! აქ არ გახლავარ? მე თითონ შევალ ვაჭრობაში და ძალიანაც ავწევ ფასს, ისე რომ ვალიც მოიშოროს სახლმა და ფულიც დაგრჩეთ. იმ ფულით შეგეძლებათ ოჯახის ზოგიერთი საქმეებიც გაასწოროთ და ოთახებიც დაიგირავოთ სადმე, ისე რომ სარგებელში იცხოვრებთ, თავნი უკვდავი იქნება.

ნუშოს ჭკუაში დაუჯდა რჩევა, მით უფრო რომ ნაღდი უჭირდა. დათანხმდა. სახლს რომ ჰყიდდენ, რეზიკოც შევავაჭრა; დიდი რიხით დაიწყო ფასის აწევა, მაგრამ მალე ჩაჩუმდა, როცა ერთმა მუშტარმა ათ თუმნიანი ჩაუდო ხელში, ოღონდ თავიდან მოეშორებია. ქვრივს მაინც დარჩა ფული, მოიშორა ნისიები. დაიგირავა ვანქის უბანში სამი სუფთა ოთახი და რამდენჯერმე აიარ-ჩაიარა ბაზარში დანარჩენის გასაფლანგავათ.

რეზიკომ ახლა უფრო გაახშირა ქალთან სიარული: შველოდა ბანკის საქმის გაწმენდას, სახლის დაქირავებას და მოწყობას. შეაჩვია ქალს თავისი თავი. მერე აგრძნობინა, რომ შეყვარებულია. ბოლოს გაუცხადა, უშენოთ სიცოცხლე ჩალათ მიმაჩნიაო, ცოლათ წამომყევო. ნუშო დაფიქრდა და დათანხმდა.

— აი, ჩემო სიცოცხლე, ეუბნებოდა შეჩვეული ვაჟკაცი ქალს, დადგება შემოდგომა და ჯვარი დავიწეროთ. ქორწილს ხარჯი უნდა, დიდ ძალი ნაცნობი მყავს და უიმისოთ არ შეიძლება. მამულითა ვცხოვრობთ და მოსავალს მოველით ხოლმე; ღალის პურს შემიგროვებენ, ღვინოს დამიყენებენ და გამოეწყობა საქმე.

— ეგ კარგი, მაგრამ ათას ხმებს რომ ავრცელებენ ჩვენზე...

— ილაპარაკონ, ნათელო ჩემო! თითონვე შერცხვებათ, როცა ჯვარს დავიწერთ და ნახვენ რა წმინდა განძრახვა გვქონია. ცოტაც, ჩემო ყველავ, და ვცლირსებით იმ დღეს, როცა თავისუფლათ შევძლება ერთათ ცხოვრება, ეალერსებოდა ვაჟკაცი ქალს და უკოცნიდა ლამაზ თვალებს.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

# კრიტიკული განხილვა.

(მ. გ. ჯანაშვილი. შოთა რუსთაველი, თბილისი. 1896 წ.)

„დღემდის საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენია და ჯერ არც შესაძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს“.

გ. წერეთელი.

მკითხველი, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ჩვენ ბ. მ. ჯანაშვილის წიგნის გარჩევაში უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ მხოლოთ იმ კითხვებს, რომლებსაც საზოგადო ხასიათი აქვთ და რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტას რაიმე ნაირი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მწერლობის სვე-ბედის გამოსარკვევათ. ამიტომ მკითხველს წინ-და-წინვე ვუცხადებთ, რომ ბ. ჯანაშვილის შრომის ათასგვარ წვრილმან შეცდომათა და ნაკლულევანებათა დასახელებას ჩვენ განხილვაში იგი ნუ ეძებს; ამ გვარი შრომა ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ამასთავე არც იმდენათ გამოსადეგარია მისთვის. მკითხველისთვის სრულიად საკმარისია, როცა მას მსჯელობის უმთავრესი საფუძველი აქვს ხელში; ის მაშინ მარჯვე გზაზეა დამდგარი და საჭიროა მხოლოთ უკან აღარ ჩამოდგეს და მუდამ წინ მიისწრაფებოდეს. აი, სწორედ ამნაირი მკითხველი გვყავს ჩვენ ყოველთვის სახეში; დანარჩენებზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ. მაშ, გადავიდეთ პირდაპირ იმ კითხვის გარჩევაზე, თუ როგორ შეასრულა ბ. ჯანაშვილმა თავისი მეორე დაპირება: შოთა რუსთაველის „ქმნილების ბეჭდვისა და მეცნიერულათ შესწავლის ისტორიის“ გაცნობა. ვეცდებით ამასთანავე, რაც შეიძლება, მოკლეთ მოვჭრათ სიტყვა ამ საგანზე.

ერთი ღირსება „ვეფხის-ტყაოსნისა“ იმიდანაც ჩანს, რომ ჩვენში, წინეთ და ახლაც, იშვიათათ მოიპოვება იმისთანა მწერალი, რომელსაც როგორმე არ მოეხსენებიოს რუსთაველი და მისი „ვეფხის-ტყაოსანი“. ამნაირი წესი თითქმის საველდე

ბულოთ იყო გამხდარი ჩვენ მწერლობაში ამ უკანასკნელ დრომდე და არა თუ მარტო ჩვენი მწერლები, კიდევ უფრო უცხოელები, რომლებსაც უწერიათ თუ არ უწერიათ რაიმე ჩვენი ისტორიის შესახებ, თავის მოვალეობათ ხდიდენ, რამდენიმე ქებითი სიტყვა მაინც ეძღვნათ რუსთველისთვის, რომ მით ემოქმედნათ ჩვენ თავმოყვარეობაზე. ამის გამო დღეს კაი ძალი მასალა არსებობს „ვეფხის-ტყაოსანზე". მეორე მხრით ჩვენ რამდენათმე ვიცით, თუ რა ხასიათისაა ეს მასალა: მოკლებული ღრმა ისტორიულ ანალიზსა და მკაცრ პიროვნულ კრიტიკულ დაფასებასა, ეს მასალა აშენებულია მხოლოთ წინ-და-წინვე შედგენილ ცალ-მხრივ მსჯელობაზე. ბ. მ. ჯანაშვილმა მოიწადინა „ყველა ამ მასალის შეტანა" თავის შრომაში. თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთი მხრით, იმ გარემოებას, რომ ყოველ შემთხვევაში ამ მასალის გაცნობა მკითხველისათვის საინტერესოა, და მეორე მხრით, იმას, რომ ეს მასალა „გაბნეულია სხვა-და-სხვა გამოცემებში", მაშინ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენათ სასარგებლო საქმისათვის მოუკიდია ხელი ავტორს. მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ წინ-და-წინვე შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ჩვენი ავტორი, რომლის გონება დისციპლინის მკაცრ დარჯაკში არ არის გატარებული და რომელიც ამავე დროს სრულიად ყალბ მეთოდს ადგია, ამ დაპირებას ვერ შეასრულებდა.

ბ. ჯანაშვილს თავის შრომაში მოჰყავს, მაგალ., სხვა-და-სხვა შეხედულებანი „ვეფხის-ტყაოსანზე", წარმოთქმულნი მეფე თეიმურაზის დროიდან († 1663 წ.) თითქმის ვიდრე ამ უკანასკნელ ხანამდე. ამ მხრით ბ. ჯანაშვილის წიგნი სწორეთ რომ ერთათ ერთია ჩვენ ღარიბ მწერლობაში. მაგრამ ამითვე თავდება ამ წიგნის მნიშვნელობა. მკითხველს შეუძლია აქ გაიცნოს სხვა-და-სხვა მწერალთა თუ მკვლევართა შეხედულებანი „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ (თუმცა სავსებით არც ეს, როგორც ქვეით დავინახავთ) და მორჩა და გათავდა. ავტორი ამ შეხედულებათა კრიტიკულათ დაფასებისათვის არაფერს არ იძლევა, არავითარ კრიტერიუმს არ აწვდის მკითხველს, რომლის მეოხებით ამ უკანასკნელს შეეძლოს ცოტათ, თუ ბევრათ თითოეულ მის მიერ მოყვანილი შეხედულების ღირსეულათ გარჩევა და დაფასება. უამისოთ კი ამ გვარი შრომა ყოველსავე მნიშვნელობას ჰკარგავს. მართლა, რა გამოვა იქიდან, რომ მკითხველი გაიცნობს სხვა-და-სხვა შეხედულებას, თუ მას იმავე დროს არ მივაწვდით საფუძვლიანათ შემუშავებულ კრიტერიუმს, რომლითაც მან უნდა გაზომოს და აწონ-დაწონოს თითოეული შეხედულება და დაემყაროს მხოლოთ იმას, რომელიც მკვიდრ საფუძველზე იქნება აშენებული, და არა მარტო ყოყოჩურ მსჯელობაზე.

რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანს", თუმცაღა, ერთი მხრით, მართალია, რომ ყველა მწერლები, რომელთა შეხედულებანი ბ. მ. ჯანაშვილს შეუკრებია თავის წიგნში, სრულიად თანახმანი არიან იმაში, რომ ეს პოემა მაღალი ხელოვნური ნაწარმოებია; მაგრამ, მეორე მხრით, ესევე შეხედულებანი ისე ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, რომ იმათი ერთმანეთთან შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია. ამ ნაირია, მაგალ., ერთი მხრით, ვახტანგ VI და პლატონ იოსელიანის შეხედულებანი, რომლების წარმოდგენით „ვეფხის-ტყაოსანი" ქრისტიანული პოემაა (ვახტანგი VI), ანუ „სასულიერო მიმართულების" ნაწარმოები (პლ. იოსელიანი), და მეორე მხრით, ყველა დანარჩენი მწერლები, რომლებიც ასე თუ ისე ხსენებულ პოემაში ხედვენ საერო მიმართულების ნაწარმოებს. აქ აუცილებლათ საჭიროა ან ერთ შეხედულებას უნდა მიეკედლო და ან მეორეს; ან უნდა იწამო, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" სასულიერო მიმართულების პოემაა, ან და წმინდა საერო ნაწარმოები. მაგრამ ამასთანავე აუცილებლათ საჭიროა, რომ ერთ შეხედულებას მიემხრობა თუ მეორეს, ყოველ შემთხვევაში გასამართლებელი საბუთი უნდა გეჭიროს ხელში, საბუთი ცხადი და ნათელი, და არა საორჭოფო. ბ. მ. ჯანაშვილის წიგნაკი არავითარი მხრით არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ მივიღებთ სახეში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ ჩვენი ავტორი შოთა რუსთველის ლიტერატურულ წინაპრებს ხედავს წმიდა მამებში, და მეორე მხრით, თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ ის თავის წიგნაკში „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი" ალეგორიულათ ხსნის, როგორც „ამირან-დარეჯანიანს", ისე თვით „ვეფხის-ტყაოსანსაც", მაშინ ჩვენ გავიგებთ, რომ ბ. ჯანაშვილის შეხედულებით „ვეფხის-ტყაოსანი" წმინდა ქრისტიანული ნაწარმრებია. [1]

---

[1] რადგანაც ქრისტიანული ხასიათი „ვეფხის-ტყაოსანს" არაფერში არ ატყვია, ამიტომ ბ. ჯანაშვილი იძულებული იყო ეს პოემა ალეგორიულ ნაწარმოებათ მიეჩნია. მოვაგონებთ მკითხველს, რომ ამნაირი ახსნა „ვეფხის-ტყაოსნისა" ახალი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ სასულიერო წოდებას ეს პოემა ქრისტიანული სწავლის საწინააღმდეგოთ მიაჩნდა და ამიტომ სასტიკათ დევნიდა მას. ვახტანგ კანონმდებელმა მოინდომა „ვეფხის-ტყაოსნის" დაცვა ამნაირი დევნიდან. ეს შეეძლო მას იმ დროს მხოლოთ ერთი საშუალებით, ე. ი. რუსთველის პოემა მიეჩნია როგორც ალეგორია, რომელიც გამოგონილია ადამიანთა სასწავლებლათ. მაგრამ საინტე

ამნაირია ავტორის ნამდვილი შეხედულება „ვეფხის-ტყაოსანზე“, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იმ წიგნში, რომელსაც ჩვენ ამ ჟამათ ვარჩევთ, ეს შეხედულება გარკვევით არ არის განმარტული; იგი დაბეჯითებით წარმოთქვა ბ. ჯანაშვილმა „მოსე ხონელში“, სადაც მან, ერთი მხრით აღიარა „ვეფხის-ტყაოსნის“ ალეგორიული ხასიათი, და მეორე მხრით, მსგავსება აღმოაჩინა ამ პოემის პირველი ხანის სიტყვებსა: „რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ და სხვ. და მეათე საუკუნის „საგალობელის“ შემდეგ სიტყვებს შორის: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი ძალითურთ და შეჰქმნა ქვეყანა ყოველითა თანამკვიდრითურთ“. [2]) მაგრამ განა სარწმუნოა და საზეში მისაღები ეს საბუთი? ალეგორიული ახსნის შესახებ ჩვენ უკვე წარმოვთქვით ჩვენი აზრი ზევით; რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსნის“ ზემო-ნაჩვენები სიტყვების დამოკიდებულებას „საგალობელის“ სიტყვებთან, ამაზე აი, რა უნდა ვთქვათ: თუნდაც რომ ეს დამოკიდებულება ნამდვილი იყოს, რაც ძნელათ მისაღებია, ჩვენ დროში ვინ გვეტყვის დარწმუნებით, რომ ის ტაეპი, რომელიც იწყება სიტყვებით: „რომელმან შეჰქნა სამყარო და სხვ.“ ნამდვილათ რუსთველს ეკუთვნის და ყალბი არ იყოს? მაგრამ თუნდ დავეთანხმოთ ბ. ჯანაშვილს იმაში, რომ ეს სიტყვები სწორეთ რუსთველს ეკუთვნის და კიდევაც ისინი მას „საგალობელიდან“ უსესხებია; რა გამოვა აქედან? საქმე ის არის. რომ ბ. ჯანაშვილის შეხედულების შეცდომა უმთავრესათ იქიდან მტკიცდება, რომ ის ერთ რომელსამე გამოგლეჯილ ადგილზე ამყარებს თავის მოსაზრებას და არა მთელი პოემის საზოგადო მიმართულებაზე.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ბ. ჯანაშვილი ამ მის მიერ შეთვისებულ შეხედულებას თავის უკანასკნელ წიგნში („შოთა რუსთაველი“) არ არკვევს; ამის შესახებ მკითხველს ის აქ რაღაც განუსაზღვრელ მდგომარეობაში ტოვებს და სამაგიეროთ ის ვითომ სულ სხვაგვარ მოსაზრებაებს გვაწვდის. რაში მდგომარეობენ ეს ბ. ჯანაშვილის „მოსაზრებანი?“ ამ კითხვის გამოსარკვევათ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. ჩვენ ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ბ. ჯანაშვილის წიგნის ერთათ-ერთი მნიშვნელობა,—ეს სხვა-და-სხვა მწერალთა მიერ სხვა-და-სხვა დროს და ადგილას წარმოთქმულ შეხედულებათა შეკრება ერთ წიგნში. ვიცით აგრეთვე ისიც, თუ რაში მდგომარეობს ყოველივე ამგვარი შრომის, მაშასადამე თვით ბ. ჯანაშვილის შრომისაც, ერთი უმთავრესი ნაკლულევანება, ე. ი. იმნაირი კრიტერიუმის უქონლობა, რომელიც დამყარებულია მხოლოთ მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე. მაგრამ, სამწუხაროთ, ბ. ჯანაშვილის შრომის ნაკლულევანება მარტო ამით არ ისაზღვრება. საქმე ის არის, რომ ჩვენს ავტორს სხვა მწერალების აზრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ სავსებით არ მოყავს, ბევრი მათგანი მას თავისებურათ გადუკეთებია და ამის გამო რამდენათმე კიდევაც დაუმახინჯებია. შეიძლება, ამაზე ჩვენ გვიპასუხონ: ამგვარ შრომაში ეს აუცილებელი არის, რადგანაც აზრების შემოკლებას თხოულობს ყოველივე ამგვარი შრომის ტეხნიკური მხარეო. ჩვენ არ ვეხებით იმას, კარგია ეს თუ ცუდი. ჩვენ შევეხებით მხოლოთ, აი, რას: ბ. ჯანაშვილს მოჰყავს, მაგ., დ. ჩუბინაშვილის შეხედულება „ვეფხის-ტყაოსანზე“ (გვ. 27 და 47—49). ხოლო ჩვენ ავტორს არ დაუნახავს საჭიროთ, რომ მკითხველისთვის გაეცნო ჩუბინაშვილის სტატიის ის ადგილი, სადაც ეს უკანასკნელი უარ-ჰყოფს იმ აზრს, ვითომ ეს პოემა ქრისტიანული მიმართულების ნაწარმოები იყოს[3]). რისთვის მოუვიდა ეს ბ. ჯანაშვილს: უყურადღებობის გამო, თუ განზრახ, რადგანაც ამგვარი შეხედულება არ ეთანხმება მისას? ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით დ. ჩუბინაშვილის წერილის იმ ადგილზე, სადაც ეს უკანასკნელი ამბობს, რომ რუსთველის პოემასა და თამარ მეფის ცხოვრებას შორის შესამჩნევი მსგავსება არსებობს და ამის დასამტკიცებლათ ადარებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბებს სხვა-და-სხვა ეპიზოდებს თამარ მეფის ცხოვრებიდან. ბ. მ. ჯანაშვილი თითქმის შეუცვლელათ იმეორებს ჩუბინაშვილის მიერ ნათქვამს ამ საგნის შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელს როგორც ამ აზრის პირველათ წარმომთქმელს ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს; პირიქით ბ. ჯანაშვილი ჩუბინიშვილის შეხედულებას

---

რუსთა ვიცოდეთ, თუ როგორი ძლიერი სიტყვებით სამუდამოთ უარჰყო ეს შეხედულება ჯერ კიდევ მეორმოცე წლებში დ. ჩუბინაშვილმა. „ვახტანგი აშკარათ აჩვანერებს და აზვიადებს საქმეს, როცა საღმრთო-წერილის მუხლებს ადარებს ამ პოემის იმ ადგილებს, რომლებიც სრულებით იმათ არ შეესაბამებიან, — სადაც ავტორი სრულებით ამაზე არ ჰფიქრობდა. ერთი სიტყვით, გასაკვირველია და უზრდელობაც იქნება, რომ ეს ნაწარმოები მივიღოთ, როგორც ქრისტიანული მისტიკური პოემა“. ის. Груз. хрест., ч. II, ст.: „О груз. поэмѣ Веп.-Тк., გვ. V.

[2]) ის. „მოსე ხონელი და მისი „ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 55—56. პირველათ ეს შედარება წარმოთქმულა ბ. ჯანაშვილის მიერ მის „საუნჯეში“.

[3]) ის. ზემოთ დასახელებული სტატია დ. ჩუბინაშვილისა, გვ. V.

მოგვაწვდის, როგორც საკუთარ თავის „მოსაზრებას“. აქ ჩვენ ადგილი ნებას არ გვაძლევს ზემონათქვამის დასამტკიცებლათ, დ. ჩუბინაშვილის და ბ. მ. ჯანაშვილის წერილების ადგილი ერთი-ერთმანეთს შევუფარდოთ და მით აშკარათ დავანახოთ მკითხველს, თუ ვის ეკუთვნის ის შეხედულება, რომელიც ბ. ჯანაშვილს მიუთვისებია. ყოველ შემთხვევაში, ამაში დასარწმუნებლათ მკითხველს შეუძლია მიმართოს დ. ჩუბინაშვილის დასახელებულ წერილს „ვეფხის-ტყაოსანზე“, სადაც VII და VIII გვერდზე ის ამოიკითხავს ნათლათ და გარკვევით ყოველსავე იმას, რაც ბ. ჯანაშვილს თავის მოსაზრების სახელით გაუქიანურებია თითქმის ოც-და შვიდ გვერდზე (66—93 გვ.). ამ გაჭიანურებას თავის თავათ უნდა მოყოლოდა განსხვავებაც, მაგრამ განსხვავებაც არის და განსხვავება: ბ. მ. ჯანაშვილის განსხვავება დ. ჩუბინაშვილისაგან ამ მხრივ მარტო გარეგანია, და არა შინაარსის მხრით. პროფ. ჩუბინაშვილმა, მაგ., აღნიშნა რამდენიმე მხრით მსგავსება „ვეფხის-ტყაოსანსა“ და თამარის ისტორიას შორის („ქართლის ცხოვრება“); მაგრამ მას ხსენებული პოემის და „ქართლის ცხოვრების“ მსგავსი ადგილები ერთი-მეორესთვის არ შეუფარდებია. ვინ იტყვის, რომ ამგვარი შეფარდება საჭირო არ ყოფილიყოს; მაგრამ ამგვარი შრომა სულ უბრალოა, ყოველნაირ ორიგინალობას მოკლებული. ბ. მ. ჯანაშვილმაც აიღო და პროფ. ჩუბინაშვილის მიერ ნაჩვენებ მსგავსებათა კვალობაზე, ერთი იოტის შეუცვლელათ, ამოწერა, ერთი მხრით, „ქართლის ცხოვრებიდან“ და, მეორე მხრით, „ვეფხის-ტყაოსნიდან“ ის ადგილები, რომლებიც, მისი და დ. ჩუბინაშვილის წარმოდგენით, ერთ და იმავე ფაქტებს ანუ შემთხვევებს აღნიშნავენ. თუ გნებავთ ამავე გარემოებაში შეიძლება მოინახოს ბ. ჯანაშვილის წიგნის მეორე ღირსება; მაგრამ, სამწუხაროთ, როცა ჩვენი ავტორი აღარ კმაყოფილდება იმ საზღვრებით, რომლებიც პროფ. ჩუბინაშვილმა შემოხაზა და ცდილობს ეს მსგავსება ყოველ წვრილმან ფაქტებზე თუ შემთხვევაზე გადაიტანოს, მაშინ სწორეთ რომ სასაცილო დასკვნამდის მიდის. სასაცილოა, მაგ., ბ. ჯანაშვილის შემდეგი დასკვნა: „ნესტანი რომ ეფიცება ტარიელს, ჩემს ქალწულობას მე შენთვის დავიცავ, შევინახავო, განა იგივე ქალწულობის შენახვის საწინდარი არ უდევს იმ ამბავს, რომ რუსზე ჯვრის-წერის შემდეგ, გინ იცის, იმავ დღესვე იგი რუსი წარგზავნეს ყარს!..“ (გვ. 90-1, კურსივი ჩვენია). მოდი და ნუ გაგეცინება ამგვარ მოსაზრების წაკითხვას შემდეგ! ამნაირ დასკვნამდის შეუძლია მისვლა მხოლოთ იმას, ვინც მარტო წვრილმანი და ყოვლად უმნიშვნელო ფაქტების შემჩნევას ვერ გაცილებია. მაგრამ ბ. ჯანაშვილი მარტო ამ დასკვნით არ კმაყოფილდება: წვრილმანი ფაქტებით გატაცებას და ცალკე გამოგლეჯილი სიტყვებით ხელმძღვანელობას იქ, სადაც მწერალი მხოლოთ საზოგადო მიმართულებას უნდა აქცევდეს უმთავრეს ყურადღებას, აი, რა საუცხოვო დასკვნამდის მიუყვანია კიდევ ჩვენი ავტორი: „ვეფხის-ტყაოსანში“ — გვეუბნება ავტორი—არის ერთი ადგილი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ რუსთველიც მონაწილე ყოფილა თავის გმირების მოქმედებაში (კურსივი ჩვენია). აღწერსრა შოთა როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობას, მერე „უცხო მოყმეს“ შეხვედრას და ამ მოყმის გადაკარგვას,—გვეუბნება: „მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა“ (კურსივი ავტორისაა, გვ. 75). რასაკვირველია, თუ ამ ფრაზის მეტი არ ამოგვიკითხავთ-რა „ვეფხის-ტყაოსნიდან“, იმ შემთხვევაში მართლა შევიძლიათ დავასკვნათ, რომ რუსთველს, პოემის დამწერს, თითონაც მიუღია მონაწილეობა თავის პოემის გმირების მოქმედებაში; მაგრამ თუ ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილი ხართ რუსთველის ქმნილების მთელ შინაარსთან, მაშინ თქვენ არ შევიძლიათ არ დაასკვნათ, რომ ბ. მ. ჯანაშვილის მსჯელობა ყოველ გვარ საფუძველს მოკლებულია. აი, მარტო ამით განსხვავდება ბ. ჯანაშვილის მოსაზრებანი დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებისაგან. კითხვა იმის შესახებ, თუ ვის სასარგებლოთ მოწმობს ეს განსხვავება, სულ მეტია.

ფ. მახარაძე.

(შემდეგი იქნება)

## საქველ-მოქმედო საქმე.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთი „კვალის“ შემწეობით გავუცხადოთ უგულითადესი მადლობა შემდეგ პირთ: ქ-ნ ეფრ. დათეშიძისას, ადელი მაჭარაძისას, მღ. პლ. ელბაქიძეს, ნ. პეტრიაშვილს, ბ. ხიდურელს, ა. ბოჭორიშვილს, ი. როსტომაშვილს, ე. ნაცვლიშვილს, დ. გიორგობიანს, ს. მესხს, რომელთაც შემოწირეს სხვა-და-სხვა ქართული და რუსული წიგნები ამბროლაურის სახალხო უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოის სასარგებლოთ; ბ. მეთოდე მხეიძეს, რომელმაც თავის ფულით გამოუწერა გაზეთი „მეურნე“ ხსენებულ სამკითხველოს და ბ. ა. ბახტაძეს, რომელმაც შემოწირა ფულათ სამი მანეთი.

ამბროლაურის სამკითხველოს მმართველი—ბღ.
მღ. ნიკიფორე კანდელაკი.

## II.

კვალის რედაქციას მოუვიდა ერთი თუმანი კნ. მარიამ დავითის ასულის შერვაშიძისაგან (ქობულეთის ქალის) მანგლისში მოგროვილი თავის ნაცნობებთა შორის ზეპირ სიტყვაობის ფონდისთვის მისამატებლათ.

## III.

განვიზრახე რა სკოლის დაარსება სოფელს კვაუთს, სენაკის მაზრაში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამოსწავლო საბჭოსაგან, ყოვლად-უსამღვდელოესის ეპისკოპოსის გრიგორის ნებართვით და კურთხევით, მივიღე წიგნაკი ჩასაწერათ შემომწირველთა და შემოწირულთ რაოდენობისა, სასარგებლოთ აწ გასახსნელის კვაუთის სკოლისა. მოვიწვევ შემწეთ ჩემს ნათესავებს, ნაცნობებს, ამხანაგებს, მეგობრებს და უფრო იმათ, რომელთაც ჩემგან ახსოვდეთ რამე დაელება ცხოვრებაში და ჩვენში სწავლა-განათლების გავრცელებას თანუგრძნობდენ, შემეწიონ ამ სკოლის გახსნაში ფულით, წიგნებით და საკლასო ნივთებით. ყოველივე შეწირულობა გამოცხადებული იქნება გაზეთებში და დრომდის დაცული სამოსწავლო საბჭოში. ჯერ-ჯერობით მოვაგროვე 86 მანეთი და წარვადგინე სამოსწავლო საბჭოში შესანახავათ. აი, სია შემომწირველთა: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ 10 მან., დეკანოზმა ელიავამ 2 მან., მღვდ. ნ. სამხარაძემ 1 მან., ყ. ცეცხლაძემ 1 მან., მღვდ. ზ. ჟორდანიამ 1 მან., სამსონ ქავთარაძემ 1 მ., მღვდ. ეპიტოვმა 1 მ., კ. ხოფერიამ 2 მან., მღვდ. ცომაიამ 50 კაპ., მღვდ. პ. ჭანტურიამ 50 კ., მღვდ. მ. ხვინგიამ 1 მან., მღვდელმა ი. ჭანტურიამ 2 მან., გუძა ზარქაიამ 10 მან., კოწია ცომაიამ 1 მ., გ. გულუამ 1 მ., ივანე აფშილავამ 10 მან., ლ. გულუამ 2 მ., სტ. ხურციძავამ 2 მ., ნ. დგებუაძემ 1 მ., ბერმა ბენედიქტემ 40 კ., ის. ხონელიძემ 1 მ., მღვდ. ბ. ხონელიძემ 1 მ., გ. შავდიამ 25 კ., კოტატი ნადარეიშვილმა 1 მ., მღვდ. მ. პაპანდოპულომ 2 მ., ხ. პაპანდოპულომ 1 მ., სიმეონიდმა 50 კ., ლ. კანდილმა 1 მ., ს. სიმეონიდიმ 1 მ., ძმებმა მატაქსიმ 1, მ., ძმ. ანასტასიადიმ 1 მან., № სირომ 1 მან., გ. ჩხიკვაძემ 20 კაპ., პ. მატაქსიმ 1 მან., ე. ცირამიდისმა 1 მან., ძმ. პინადოვლიმ 1 მ., ძმ. ხარალამიმ 1 მ., ი. კუცურიმ 1 მ., მ. პ. 1 მ., ნ. ანჯაფარიძემ 3 მ., იეროკლიმა 1 მ., ს. საბაშვილმა 2 მ., ასტამატიმ 1 მ., ათა აფშილავამ 2 მ., ბლ. მღვდ. კ. გაწერელიამ 1 მ., ნ. მალნარაძემ 1 მ, იონა (მეუნარგია) 5 მ., ტ. ჩიქოვანმა 2 მ., პ. პარქაიამ 5 მ., ბლაღ. ნ. ალბიშიამ 2 მ., მღვდ. ი. ხუხუნმა 5 მ., მღვდ. პ. ტყავლთაძემ 1 მ., მღვდ. კ. თოფურიძემ 1 მ., მღვდ. ა. ქვარცხავამ 1 მ., მღვდ. პ. გოშუამ 1 მ.

წევრი—საქმის მწარმოებელი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამოსწავლო საბჭოსი სტეფანე ძიძისტარაშვილი.

## „კვალის“ ფოსტა.

სოფ. ქვემო-მაჩხაანს. ბ. №№-ს. სრულიად ვეთანხმებით თქვენ აზრს მანდაური „მოლვაწის“ შესახებ. სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით, უდროვოთ მიგვაჩნია მაგ საგანზე ლაპარაკი აღვძრათ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

## განცხადება.

თავჯდომარე ქალაქის საბჭოს აღმსრულებელი კომისიისა, რომელიც დაარსებულია წყალ-დიდობის გამო დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ, თანახმათ დადგენილობისა ხსენებული კომისიისა 1896 წ. 5 ივნის, ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც რაიმე ზარალი მოსვლიათ წყალ-დიდობისაგან, შეუძლიათ მიმართონ კომისიას პირად მოსალაპარაკებლათ კვირაში ერთხელ, შაბათობით, საღამოს 8 საათიდან, ქალაქის საბჭოს დარბაზში; წერილობითი თხოვნები კი კომისიის სახელობაზე მიიღებიან ყოველ დღე ქალაქის მდივნის მიერ შუადღის ორ საათამდის, ქალაქის საბჭოს დარბაზშივე.

დაიბეჭდა და იყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა

№ 27

## ოქროს მოყვარულები

მოთხრობა ცშოკესი

გადმოღებული

ელენე წერეთლის მიერ

ფასი 15 კაპ.

(10—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Іюня 1896 г. — Тип. М. П. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41